პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 32 (18274) სამშაბათი, 9 თებერვალი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ახალი წარმატებებისაკენ

საქართველოს სსრ რესპუბლიკური გამოთვლითი ცენტრის კოლექტივის 1982 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

ახორციელებს რა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რჩევა-დარიგებებსა და მითითებებს, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოგვცა თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე გამოსვლისას, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რესპუბლიკური გამოთვლითი ცენტრის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებანი.

რესპუბლიკური გამოთვლითი ცენტრის მუშაკებმა, რომლებიც ახლა სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავის ღირსეული შეხვედრისათვის გამოცხადებულ დამკვრელურ ვახტზე დგანან, ვალდებულება იკისრეს:

— შეასრულონ მეთერთმეტე ხუთწლედის ორი წლის გეგმა საიუბილეო თარიღის — 1982 წლის 22 დეკემბრისათვის. აამაღლონ სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხი და შეამცირონ მისი დამუშავების ხანგრძლივობა. ვადამდე დაამთავრონ სულ ცოტა ყოველი მეხუთე სამუშაოს დამუშავება;

— შეასრულონ სამუშაოთა მოცულობის 1982 წლის გეგმა 20 ათასი მანეთის გადაჭარბებით, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება საგეგმო ზრდასთან შედარებით 1,5 პროცენტით, მიიღონ გამოთვლითი და სხვა სამუშაოების მოცულობის მთელი მატება შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე;

— განუხრელად დაიცვან მოთხოვნა „ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს", მატერიალური რესურსების მომჭირნედ ხარჯვის ღონისძიებათა განხორციელების შედეგად 1982 წლის 12 დღის მანძილზე (ყოველი თვის უკანასკნელ სამუშაო დღეს) იმუშაონ დაზოგილი ნედლეულითა და მასალით.

— შეიმუშაონ და დანერგონ სულ ცოტა ექვსი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ყოველწლიური ეკონომიკური ეფექტი შეადგენს 6 ათას მანეთს. შეიმუშაონ ქვეყნის სახელმწიფო სტატისტიკის ყველა დონეზე მატერიალური რესურსების დაზოგვის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების ანგარიშგების სისტემური კომპლექსის პროგრამული უზრუნველყოფა.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რესპუბლიკურმა გამოთვლითმა ცენტრმა მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური სტატსამმართველოების გამოთვლით ორგანიზაციებს მოუწოდა უზრუნველყონ მატერიალური და ფინანსური რესურსების მაქსიმალურად რაციონალური გამოყენება, მიაღწიონ იმას, რომ სახელმწიფო სტატისტიკის გამომთვლელმა ორგანიზაციებმა 1982 წლის ყოველი თვის უკანასკნელ დღეს იმუშაონ დაზოგილი მასალა-ნედლეულით.

ვალდებულებანი განხილული და დამტკიცებულია კოლექტივის საერთო კრებაზე. (საქინფორმი).

კინომომსახურება სოფლად

ზამთარია. სოფლად თითქოს მიწყნარდა აუარება საქმე და წუთით ჩაიმუხლა გლეხკაცმა... ხანშიშესულნი კეთილ მეზობელთან ბაასსა და ტელევიზორის ეკრანს ამჯობინებენ, უმეტესობა, მეტადრე ახალგაზრდობა, სოფლის კულტურის სახლსა თუ კლუბს მიაკითხავს ახალი კინოსურათის სანახავად. მაგრამ როგორია კინომომსახურება სოფლად? თუ შეეფერება იგი დღევანდელი მაყურებლის მოთხოვნილებებს?

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას უთმობენ მშრომელთა კულტურულ, გონივრულ დასვენებას. მწყობრში დგება თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე აგებული კულტურის სახლები და კლუბები. 1977 წელს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საგანგებო დადგენილებაც კი მიიღო „სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", რომელმაც ახალი იმპულსი შესძინა ჩვენი სოფლების კულტურულ მომსახურებას.

დადგენილება, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდა კინომომსახურების გაუმჯობესებასაც. რა გაკეთდა ესოდენ მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღების შემდეგ, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში? ბევრი სასიკეთო რამ! საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მინისტრთა საბჭოს ეს საკითხი ყოველთვის წინა პლანზე ჰქონდათ. და უწინარესად სწორედ ამის შედეგია ჩვენი რესპუბლიკის პერიფერიების, რაიონული ცენტრების, სოფლების დიდი გარდაქმნა და აღორძინება ბოლო ათწლეულში. თითქოს სულზე მიუსწრო ჩვენს მაღალმთიან რაიონებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა პრაქტიკული მზრუნველობა მოჰყვა რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან ამ დოკუმენტის მიღებას. მაგრამ, ეტყობა, კინოქსელში შექმნილი მდგომარეობა ვერ იყო თავისას მოითხოვდა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, უკვე 1979 წელს, ცალკე დადგენილება მიიღო „რესპუბლიკის მოსახლეობის კინომომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

ამ ფაქტს დიდი გულისყურით მოეკიდნენ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების პარტიული და საბჭოთა მუშაკები. და დღეს, ჯერ ჯერობით, არა გარეჯის შემდეგ, რომ იტყვიან, მიუხარიათ თავიანთ კლუბებსა და კულტურის სახლებში მახარაძის, წითელწყაროს, გურჯაანის და მთელი რიგი სხვა რაიონების სოფლის მშრომელებს. აქ ან ახალია, ან საფუძვლიანად შეკეთებულია საკლუბო შენობები, გაწყობილია სათანადო აღჭურვით, რეგულარულია კინოფილმების ჩვენება. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი კარგი მდგომარეობა, მხოლოდ ზოგან თუა. რესპუბლიკის უმეტესი რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების თავკაცები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ არც პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს და არც სოფლის მშრომელთა საყვედურს, რომ მინიმალური პირობები მაინც ჰქონდეთ გართობა-დასვენებისა.

მაშ, სხვა რა უნდა ვიფიქროთ, როდესაც თიანეთის რაიონის 77 სოფლიდან მხოლოდ 7 სოფელშია სტაციონარული კინოდანადგარი, 24 სოფელს მხოლოდ 2 მოძრავი კინო ემსახურება და დანარჩენი 43 სოფელი კინომომსახურების გარეშეა დარჩენილი კინოსაჩვენებელი შენობების უქონლობის გამო. ამ რაიონის სოფელ ჟამოტის კლუბი კარტოფილის საწყობად არის გამოყენებული. ანალოგიური მდგომარეობაა წალკის რაიონშიც. აქ 4 სოფელი, რომლის მოსახლეობა 1573 კაცს შეადგენს, საერთოდ კინომომსახურების გარეშეა დარჩენილი, ხოლო 9 სოფელში (121 მოსახლე) ფილმებს ძველ ფარდულებში, მეცხოველეობის სადგომებში და კერძო ბინებში უჩვენებენ.

აჭარის 47 დასახლებული პუნქტი კინომომსახურების გარეშეა დარჩენილი, მათ შორის — ქობულეთის რაიონის სოფელი კოხი (633 მცხოვრები), ქედის რაიონის სოფელი ხარაულა (760), ხულოს რაიონის სოფელი საციხური (937) და ა. შ.

არასახარბიელო მდგომარეობაა ახალქალაქის, დუშეთის, ცაგერის რაიონებში. აქ უამრავ სოფელში მხოლოდ ზაფხულობით თუ „აისეირნებენ" მოძრავი კინოდანადგარები.

ამ მდგომარეობას ობიექტური მიზეზების ძებნა არ უშველის. ფაქტია, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ კინომომსახურებას სოფლად, სადაც მთავარ ფიგურას კინომექანიკოსი წარმოადგენს. მის ფუნქციაში შედის როგორც ძირითადი, აგრეთვე მოლარისა და კონტროლიორის მოვალეობის შესრულება, ეს, ცხადია, მრავალ სიძნელეს ქმნის. ამდენად, გადაუჭრელია სოფლის კინომექანიკოსთა კადრების დენადობისა და ნაკლებობის პრობლემა. მომუშავეთაგან უმეტესობა არაკვალიფიციურია. შესაბამისმა უწყებებმა უნდა დააჩქარონ კინოქსელის ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი კურსების გახსნა.

ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა კინომექანიკოსს იმაშიც კი არ უწყობს ხელს, რომ თავშეყრის ადგილებში და კლუბების გარშემო მარტივი ტიპის სარეკლამო დაფები მაინც მოაწყოს კინოაფიშებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის, ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების, კულტურის განყოფილებების ერთობლივი მეცადინეობით, სოფლის კინოქსელში ბოლოხანს საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშაობა კინომომსახურების დონე. უქმე და სადღესასწაულო დღეებში ნორჩი მაყურებლებისათვის იმართება სპეციალური კინოსეანსები, პატარები ხვდებიან წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს, განათლებისა და კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები საუბრობენ ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე, ზოგჯერ ეწყობა კინოკვირეულებიც. მაგრამ, ეს ყველაფერი, უმეტესად, ზაფხულობით ხდება და ერთი წუთითაც არ ამართლებს იმათ, ვინც მოვალეა უზრუნველყოს, რომ კარ-ფანჯრები მაინც ჰქონდეს „მაყურებელთა დარბაზს", რათა იქ ზამთრობითაც იმართებოდეს კინოლექტორიუმები და საინტერესო შეხვედრები.

ზოგიერთ რაიონში, დღემდე ვერ გაურკვევიათ, ვის ფუნქციაში შედის სოფლის კლუბების ელემენტარული შეკეთება-მოწყობის საკითხი. სწორედ ამას მოწმობს შარშან 13 აგვისტოს „კომუნისტში" დაბეჭდილ ფელეტონზე — „კინოთეატრი... თამბაქოს ფარდულში?!" — სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებიდან მიღებული გამოხმაურება: კრიტიკა ჩვენ არ გვეხება.

სოფლის მშრომელთა კულტურული მომსახურება საერთო საქმე უნდა გახდეს. ჩვენს გამრჯე კოლმეურნე გლეხობას, დამაშვრალ ადამიანებს თავის დონეზე, დიახაც, სურთ კულტურული დასვენება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი მართავენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კითხვას თემაზე — „ოთხმოციანი წლები: გეგმები და პერსპექტივები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა და თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლათა მიხედვით".

მოხსენებას თემაზე „სკკპ XXVI ყრილობა პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი სრულყოფის შესახებ" გააკეთებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. ს. ე. ხაბეიშვილი.

კითხვა გაიმართება 1982 წლის 10 თებერვალს 17 საათზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის სხდომათა დარბაზში (პლეხანოვის პროსპექტი 61).

სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს — 60 დამკვრელური კვირა

ყოველი დღე — დამკვრელური!

კარგი საქმე

ფოთი. სასურსათო პროგრამის განხორციელებაში სულ უფრო ზრდის თავის წვლილს მეთევზეობის კოლმეურნეობა „კოლხეთი". თევზის რეწვის პარალელურად იგი საკუთარი ძალებითა და სახსრებით ქმნის საწარმოო ბაზას. წინა ხუთწლედში აგებული ცივად შესაბოლი ნახევრად მექანიზებული საამქროს გვერდით ამოქმედდა ავტომატური დანადგარ-მოწყობილობით აღჭურვილი უფრო დიდი საამქრო.

აქ წარმოებს მრგვალ ქილებში დაპილპილებული ან სუნელით შეკაზმული ქაფშიის უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება. საკაზმიანად თევზეულის წონა ერთი კილოგრამი და 300 გრამია.

ახალი საამქროს სადღეღამისო საპროექტო სიმძლავრე 10 ათასი ქილაა. წლეულს მომხმარებელი მიიღებს 500 ათას ასეთ ქილას, ხოლო გაისად მილიონ ქილა დაკონსერვებულ ქაფშიას. მომავალში საამქროში კიდევ ერთი ავტომატური ხაზი დამონტაჟდება, რომელიც 250-300-გრამიან ქილებში ზეთსა და ქინძმარში ჩაწყობილ თევზეულს დაამზადებს.

რესპუბლიკის კვების მრეწველობის ერთ-ერთი საუკეთესო შენაძენია აქ აგებული თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი პურის ქარხანა.

ქარხანა ააგო „საქკვებმრეწვმშენის" ტრესტის მახარაძის სამშენებლო-სარემონტო უბანმა, ხოლო წილობრივი მონაწილეობა მიიღეს ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელი და ელექტროაპარატურის ქარხნების, სარემონტო-სამშენებლო კანტორისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა. „კოლხეთის" კოლმეურნეობაში წარმატებით იბრძვიან სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

ქ. კომახიძე,
„კომუნისტის" კორ.

დაწინაურდა ახალგაზრდობა

შარშანდელი სახელმწიფო გეგმა „ელექტროგამზომის" ქარხნის კოლექტივმა დიდი ოქტომბრის 64-ე წლისთავისათვის შეასრულა. გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით შრომობენ თბილისელი ელექტრიკოსები მიმდინარე წელსაც.

[illegible]

ნ. ნადარეიშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გამარჯვებულები დაასახელეს

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს კოლეგიამ და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა შეაჯამეს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის დარგის საწარმოთა ბრიგადებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და დაასახელეს გამარჯვებულები.

თბილისის სამგზავრო მატარებლების სალოკომოტივო? — ხაელმავლო დეპოს ზეინკალთა ბრიგადამ, რომელსაც ი. ინასარიძე ხელმძღვანელობს, 1,5-ჯერ მეტი ელმავალი და თბომავალი შეაკეთა, ვიდრე ვალდებულებით იყო გათვალისწინებული, ხოლო ელექტროენერგიისა და ლითონის ხარჯვა 4,6 პროცენტით შემცირდა ნორმასთან შედარებით.

ბრიგადირი დაჯილდოვდა სსრ კავშირის გზათა სამინისტროს კოლეგიისა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო ვიმპელით, ბრიგადის წევრები კი ფულადი პრემიებით.

ასეთივე ჯილდოები დაიმსახურეს თბილისის სალიანდაგო დისტანციის, თბილისის ენერგომომარაგების უბნის, ხაშურის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციისა და ამიერკავკასიის რკინიგზის სხვა საწარმოების ბრიგადების კოლექტივებმა. (საქინფორმი).

გაზაფხულს — გამართული ტექნიკა!

მახარაძე რაიონში წარმატებით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი, წესრიგში მოყვანა. ამ მხრივ ქების ღირსი არიან მახარაძის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეურნეობათაშორისო საწარმოს ლიხაურის სპეცგანყოფილების მექანიზატორები. აქ ახალი წლის პირველი დღეებიდანვე გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: „სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს — სამოცი დამკვრელური კვირა!" გაზაფხულს გამართული ტექნიკა უნდა დაახვედრონ — გადაწყვიტეს მათ.

პირველ ათ დღეში შეაკეთეს 8 ტრაქტორი, 4 ჩაის საკრეფი, 5 სატვირთო მანქანა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები. მექანიზატორები პირობას დებენ, რომ მთელ ტექნიკას სრულ წესრიგში მოიყვანენ 10 თებერვლამდე, ხოლო ჩაის საკრეფ მანქანებს — 20 მარტამდე შეაკეთებენ.

მანქანების შეკეთებაზე მომუშავე მექანიზატორთა შორის წარმატებებს აღწევენ იმ სატრაქტორო ბრიგადის მექანიზატორები, რომელსაც გამოცდილი ბრიგადირი ჯ. ვაშაყმაძე ხელმძღვანელობს.

ლიხაურელი მექანიზატორები ადრე გაზაფხულზე დაიწყებენ ხვნას. თითოეული ჰექტარის თვითღირებულებას შეამცირებენ 30 კაპიკით, დაზოგავენ 150 ცენტნერ საწვავ-საპოხ მასალებს, საკრეფი მანქანებით მოკრეფენ 850 ტონა ხარისხიან ჩაის ფოთოლს, ჩაის პლანტაციებში მცირე მექანიზაციის დანერგვისათვის 30 ჰექტარი ელექტრიფიცირებული იქნება.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ვიდრე ზვრებში გამთარია

გორის რაიონის ზვრები თოვლის თეთრ საბურველშია გახვეული. ზამთარია ქართლში, ღრმა, სუსხიანი ზამთარი. ვენახებში ვაზი ძილს მისცემია, ძალ-ღონეს იკრებს ახალი წლის უხვი მოსავლის მოლოდინში.

მაგრამ ყველა ვაზია ნაჯაფარი? შარშან, მაგალითად, მერეთის, ხიდისთავის, შავშვებისა და სხვა საზოგადოებრივი მეურნეობების ზვრებში ყურძნის დამზადების გეგმები ვერ შესრულდა. ხოლო ახრისის საკოლმეურნეობათაშორისო მევენახეობის მეურნეობა, რომელიც სამაგალითო უნდა იყოს, ჩამორჩენილად მოგვევლინა — 1643 ტონის ნაცვლად 517 ტონა ყურძენი დაამზადეს ახრისელებმა.

ვინ ვინ და, შარშანდელი მწარე გაკვეთილებიდან სწორედ ამ საზოგადოებრივმა მეურნეობებმა უნდა გამოიტანონ დასკვნები.

როგორი კონტურები იკვეთება მიმდინარე წლის ყურძნის დამზადების სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში?

ტყვიავის, ზეღდულეთის, ზერტის, დიცის, ახალუბნის, სკრის საზოგადოებრივი მეურნეობების ზვრებში უკვე შეტანილია ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები, ფართობები მოიხნა, მოკლედ, ზვრებს მზრუნველი ხელი არ აკლია.

ვენახებში ზამთრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობაში კვლავ არასახარბიელო მდგომარეობაა ხიდისთავის, ქვახვრელის კოლმეურნეობებში, ახრისის საკოლმეურნეობათაშორისო მევენახეობის მეურნეობაში, სადაც 360-დან 310 ჰექტარი ფართობია მოხნული.

„კომუნისტის" საკ. კორ.

და მაინც — აყვავდება ლიმონის ბაღი

დასავლეთ საქართველოში დამდგარი სიცივეები არ აწუხებთ გაგრის სპეციალიზებული მეურნეობის მეციტრუსეებს: ლიმონის ნაზ ნარგავებს საიმედოდ იცავს ჰაერის თბილი ნაკადი. აქ მოქმედი გაზის გათბობის სისტემა ზამთრის სიცივეებისაგან იცავს 4 ჰექტარ ლიმონის სრულასაკოვან პლანტაციასა და 60 ჰექტარ მანდარინის ახალგაზრდა ხეებს.

ამ დღეებში ზუგდიდის, ხობის, ლანჩხუთისა და ცხაკაიას რაიონების მშრომელებს გაუძნელდათ პლანტაციაში მუშაობა არა მარტო დიდი თოვლის, არამედ მინუს 3-4 გრადუსამდე ტემპერატურის დაწევის გამო.

რა ზომებს იღებენ ციტრუსოვანთა უამინდობისაგან დასაცავად?

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში თქვეს, რომ ყოველ რაიონში, სადაც ავდარია, შეიქმნა სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლის შტაბები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაწესებულია სადღეღამისო მორიგეობა. მეციტრუსეთა მაშველი რაზმები გაგზავნილია პლანტაციებში, სადაც ისინი წმენდენ ციტრუსოვანთა ხეებს თოვლისაგან, წვავენ ავტომობილის საბურავებს და ამით ათბობენ ჰაერს პლანტაციების გარშემო.

სასიხარულოა, რომ მეურნეობათა დიდმა უმრავლესობამ დროულად მოიმარაგა საკმაო რაოდენობის საკვამლე კოჭები, სპეციალური უქსოვადი ქსოვილი „ციტრუსი". ეს ქსოვილი არ ატარებს ცივ ჰაერს. ამ მასალით ფუთავენ ყოველ ხეს.

უკვე მოვიდა პირველი ცნობები მეურნეობებში გაწეული სამუშაოების შესახებ. მაგალითად, ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე ხეებს მიაყარეს მიწა, ლიმონის ხეები შეფუთეს 775 ჰექტარზე, ხეების ვარჯები კი აახვიეს 4 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე.

მაგრამ ზამთარს ყველა როდი შეხვდა მომზადებული. აფხაზეთში, მაგალითად, არ ეყოთ ქსოვილი „ციტრუსი". ლიმონის შეფუთვისათვის იქ გაგზავნეს 33 ათასი მეტრი უქსოვადი ქსოვილი.

მთლიანად აცივებას რამდენადმე არსებითად არ დაუზიანებია ციტრუსები. დროულად მიღებული ზომების, სოფლის მშრომელთა ორგანიზებულობის მეოხებით შესაძლებელი გახდა მთლიანად შეენარჩუნებინათ წლევანდელი მოსავალი. (საქინფორმი).

როცა უმთავრესი დაავიწყდათ...

● **ქუთაისელმა მეავტომოგილეებმა პოზიციები დათმეს** ● **გაიზარდა კადრების დენადობა** ● **დაბალია შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა** ● **გაუარესდა მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები**

დასანანი შედეგი

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი რესპუბლიკისა და დარგის სამრეწველო საწარმოთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების უცვლელი მოწინავე იყო. ჩვენ მივეჩვიეთ მეავტომობილეთა წარმატებებს და ვერც კი წარმოგვედგინა, რომ ისინი დათმობდნენ პოზიციებს. ძალიან ბევრისთვის მოულოდნელი იყო, რომ საწარმოს კოლექტივმა პროდუქციის გამოშვების შარშანდელი გეგმა მხოლოდ 98,6 პროცენტით შეასრულა და სახალხო მეურნეობას 149 ნახევარმისაბმელი, 274 ძარა, 1296 ათასი მანეთის ავტომობილის სათადარიგო ნაწილები დააკლო.

დიახ, ბევრი არ მოელოდა ამას, მაგრამ ყველასათვის და მათ შორის საწარმოს სახელმოხვეჭილი გამომცდელი მძღოლის, სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ბორის ვაშაკიძისათვის თურმე მოულოდნელი არაფერი ყოფილა. ნოვატორი მძღოლი გაზეთ „ქუთაისის" 14 იანვრის ნომერში დაბეჭდილ წერილში აღნიშნავს, ქარხნის ჩამორჩენა შარშანდელი ულიმღამო შრომის შედეგი არ არის. ასეთი საქმის ვითარება წლების მანძილზე მზადდებოდა, ახლა მეტის მოთმენა აღარ შეიძლება და საწარმოს წარუმატებლობის შესახებ დაუფარავად უნდა ვთქვაო. იმ მრავალ მიზეზთაგან, რომლებითაც იგი ჩამორჩენას ხსნის, პირველ რიგში მუშებისადმი ქარხნის ხელმძღვანელობის არასაკმარის ყურადღებას ასახელებს.

შექმნილ მდგომარეობაზე გულახდილი, საქმიანი მსჯელობა, სიმართლის აღიარება შესანიშნავი და მისასალმებელი თვისებაა. სწორედ ამას მოგვიწოდებს, ამ სულისკვეთებით გვზრდის კომუნისტური პარტია. კარგი იქნებოდა, რომ პატივცემულ ბორის ვაშაკიძეს, მის ამხანაგებსა და მეგობრებს, ადამიანებს, რომლებსაც გულწრფელად აწუხებთ მშობლიურ საწარმოში შექმნილი ვითარება, „მოთმინების ფიალის" ავსებამდე ასეთივე გამბედაობით ეთქვათ სიმართლე, აქტიურად ებრძოლათ ქარხნის ღირსებისა და თავიანთი ინტერესების დასაცავად, თავის დროზე გამოეაშკარავებინათ ნაკლოვანებანი. სამწუხაროდ, ხმა მაშინ აიმაღლეს, როცა დამთავრდა ქარხნის კოლექტივისათვის ხოტბა-დიდების პერიოდი და პარადულობა, როცა არასასურველი ფაქტის წინაშე დადგნენ. ჩვენ ვიცით, რომ, როგორც ბორის ვაშაკიძეს, ისე სხვა მოწინავე მუშებს მრავალჯერ გაუკრიტიკებიათ საწარმოს თათბირებზე ნაკლოვანებანი, მაგრამ ისეთი პრინციპულობით არა, როგორც დღეს.

რეკონსტრუქციამ შეაფერხა?

ქარხნის ხელმძღვანელობის და სპეციალისტთა გარკვეული ნაწილი ჩავარდნას რეკონსტრუქციას უკავშირებს. ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან, რომ რამდენიმე წელია მიმდინარეობს ქარხნის განახლება და სრულდება დიდი მოცულობის სამუშაოები. სიტყვა „რეკონსტრუქცია" ამ შემთხვევაში პირობითად უნდა გავიგოთ, რადგან ფაქტობრივად შენდება ახალი ქარხანა, რომლის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ აქ ახლანდელისაგან შედარებით პრინციპულად განსხვავებული პროდუქცია დამზადდება. ჰოდა, ამბობენ, რეკონსტრუქციამ ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა ყურადღება გაფანტაო.

რეკონსტრუქციის დაწყებამდე ქარხანა მთელი ათი წლის განმავლობაში გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდა. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ხელმძღვანელობის მთავარი საზრუნავი პროდუქციის გამოშვება იყო. რაც შეეხება სხვა საკითხებს, გეგმით გატაცებულმა ადმინისტრაციამ და პარტორგანიზაციამ მათდამი ყურადღება თანდათან მოადუნეს, აქ მაინცდამაინც არ უყვართ იმ ფაქტის აღიარება, რომ საწარმო კადრების და განსაკუთრებით კვალიფიციური მუშახელის მწვავე ნაკლებობას განიცდის. მარტო შარშან ქარხნიდან 1800 კაცი წავიდა. მართალია, მოვიდა ამდენივე, მაგრამ ამით წასულთა რაოდენობის კომპენსაცია, მუშათა ოსტატობის თვალსაზრისით, ოდნავაც არ მომხდარა. რატომ ერიდებიან კადრების დენადობაზე ლაპარაკს? იმიტომ, რომ ეს საკითხი ხელმძღვანელთა სასარგებლოდ არ მეტყველებს, და აი რატომ: ხუთი საბაზო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ქარხანას ყოველწლიურად 1000-ზე მეტ კვალიფიციურ მუშას უმზადებს, მაგრამ აქედან ამ რიცხვის მეოთხედსაც ვერ ინარჩუნებენ. ვერ ვიტყვით, რომ ხელმძღვანელობას არ აწუხებდეს, არ აფიქრებდეს, ან არ სურდეს კადრების დენადობასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრა. ეს რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა. ამ საქმეს აქ თავიდანვე ვერ მოაბეს თავი, მერე კი, ვიმეორებთ, საწარმოო გეგმების შესრულებით გართულებმა, წაუყრუეს. ამ მხრივ, სხვათა შორის, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის მუშაობა. ვინ უნდა მდგარიყო უპირველესად მუშათა ინტერესების სადარაჯოზე, თუ არა პროფკავშირი, და მოეთხოვა ადმინისტრაციისაგან კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პუნქტის შესრულება, მთელი პრინციპულობითა და მონდომებით ებრძოლა წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, მშრომელთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ვერ იქნა და ვერ მოხერხდა საბინაო მშენებლობის მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. და რა გამოდის, ბინათმშენებლობისათვის გათვალისწინებულ ისედაც მცირე სახსრებსაც ვერ ითვისებენ. ამჟამად ბინის მიღების აღრიცხვაზეა 900-ზე მეტი კაცი, ახლო მომავალში ეს ციფრი საგრძნობლად გაიზრდება. თითოეული მათგანის ბინით მოკლე ხანში დაკმაყოფილება, როგორც ჩანს, ვერ მოხერხდება. ამიტომ საჭიროა დიდი ტევადობის საერთო საცხოვრებლის აშენება. საწარმოს მუშათა და სპეციალისტთა მტკიცებით, საერთო საცხოვრებელზე დიდი მოთხოვნაა, და ამ საკითხს მაინც რომ მიქცეოდა ყურადღება, კადრებით საწარმოს დაკომპლექტება საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა.

დიახ, ჩამორჩენის უმთავრეს მიზეზად ძირითადად საწარმოს სოციალური პროგრამისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, ამ პროგრამის სისტემურ შეუსრულებლობას მიიჩნევენ. საუბრიდან გამოირკვა, რომ ბევრ საამქროში ცუდი სამუშაო პირობებია, არ არის გათბობა, ცუდად ან სრულიად არ მუშაობს გამწოვებლები, ზამთარში ცივა, ზაფხულში კი ცხელა, საშხაპეებში არ არის თბილი წყალი, ხოლო სასადილოებში — საჭირო ასორტიმენტის პროდუქტი, მწყობრიდან გამოვიდა მრავალი დანადგარი და მოწყობილობა, მთელ რიგ უბნებზე მოსაგვარებელია შრომის ანაზღაურების საკითხები, მეტი ყურადღება სჭირდება ტექნოლოგიური ციკლების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას, ბინების განაწილებისას კი რიგისა და კანონიერების დაცვას. შეუწყნარებელია, როცა უგულებელყოფენ მატერიალური და მორალური წახალისების მეთოდებს, ფორმალურად ეკიდებიან სოციალისტურ შეჯიბრებას.

ქარხნის ხელმძღვანელობა შარშანდელი გეგმის შეუსრულებლობას ლითონის უკმარისობას აბრალებს. ქვეყნის ზოგიერთ მეტალურგიულ ქარხანას და სხვა საწარმოებს ქუთაისელებისათვის ათასობით ტონა ლითონი, მრავალი სახეობის დეტალი და კვანძი არ მოუწოდებიათ. ეს მიზეზი მთლად უსაფუძვლო როდია, მაგრამ თავის გასამართლებლად მაინც არ კმარა და ეს ითქვა კიდეც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, რომელიც მიმდინარე წლის 16 იანვარს გაიმართა. კერძოდ, ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ზემოხსენებული მეტალურგიული ქარხნების მაღალლეგირებული ფოლადი ხმარდება ავტომობილებისა და არა ავტომისაბმელების გამოშვებას. ქუთაისელებმა კი წლიურ გეგმასთან შედარებით 51-ით მეტი ავტომობილი და 149-ით ნაკლები მისაბმელი დაამზადეს.

სხვათა შორის, 5 ათასი ტონა ლითონი, რომელიც გეგმის შესრულებისათვის იყო საჭირო, ქარხანას უნდა ჰქონოდა. თურმე, საწარმოში, წესით, ასეთი გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის ყოველთვის უნდა ინახებოდეს სულ ცოტა 33 დღის სამყოფი ლითონი. ეს რომ ასე ყოფილიყო, ლითონის დეფიციტი მთლიანად დაიფარებოდა, მაგრამ სოციალური საკითხების მოუგვარებლობას დიდხანს მაინც ვერ დაფარავდნენ. ეს საკითხი ადრე თუ გვიან მაინც ამოტივტივდებოდა. თავიდანვე რომ დაეჭირათ თადარიგი და მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის ებრძოლათ, ერთი თვის სამყოფი მასალები ყოველთვის გამოინახებოდა.

ამბობენ, რომ ქარხნის ხელმძღვანელები, წამყვან სამსახურთა სპეციალისტები მინდობილი საქმის ერთგული და ღრმადმცოდნენი არიანო. არ შეიძლება იმის მტკიცება, თითქოს მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო და საწარმოო პირობები მათ სრულიად არ აინტერესებდეთ. ამ მიზნით ხშირად ეწყობოდა პარტკომისა და პროფკავშირის კომიტეტის სხდომები, მსჯელობდნენ ოპერატიულ შეკრებებზე გენერალურ დირექტორთან, მის მოადგილეებთან, მთავარ ინჟინერთან. იღებდნენ გარკვეულ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ვერ ახორციელებდნენ, გეგმების შესრულებასთან დაკავშირებული გაწამაწია თავისას აკეთებდა. ამით კი უმთავრესი, ადამიანის ელემენტარული პირობების გაუმჯობესება ავიწყდებოდათ.

მართალია, პროდუქციის გამოშვების იანვრის გეგმა ავტომშენებლებმა შეასრულეს, მაგრამ ეს ოდნავი თვითდამშვიდების უფლებასაც არ იძლევა. არ არის იმის სრული გარანტია, რომ მომდევნო თვეების დავალებები შესრულდება. დიახ, არ არის, თუ არ განვახორციელებთ სასწრაფო, ოპერატიულ ღონისძიებებს ეკონომიკური და სოციალური საკითხების ერთდროული, კომპლექსური გადაწყვეტისათვის. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა აუცილებლად, დაუყოვნებლივ აღვუდგინოთ მუშა-მოსამსახურეებს ხელმძღვანელობისადმი დაკარგული რწმენა, უნდა დავუმტკიცოთ, დავანახვოთ მუშათა კლასს, რომ მისი კეთილდღეობის გაუმჯობესება ყოველთვის იყო, არის და იქნება ჩვენი პარტიისა და მთავრობის მოღვაწეობის უზენაესი მიზანი. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი მოკლე ხანში უნდა ჩადგეს მოწინავეთა რიგებში, მიაღწიოს დარგში, და განა მარტო დარგში, საუკეთესო შედეგს, ღირსეულად შეეგებოს სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს, კვლავ ასახელოს რესპუბლიკა, ქუთაისი შესანიშნავი შრომითი მიღწევებით.

შ. ამაშუკელი,
დ. გედენიძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

10 წელი

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღებიდან

გზა სიკეთისა და აღმასვლისა

აფხაზეთის [illegible] ახალი [illegible]

გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა

საქართველოს კომუნისტები, მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები აჯამებენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ათი წლის შედეგებს.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატს, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ბ. ვ. ადლეიბას.

● ●

კითხვა: რა სოციალურ-ეკონომიკური ძვრები მოხდა აფხაზეთში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ?

პასუხი: ათი წელი ქვეყნის და, კერძოდ, ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განვითარებაში საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი პერიოდია. აფხაზეთის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმია, პარტიის თბილისის კომიტეტის შესახებ ცნობილი დადგენილების მიღების შემდეგ იღვწოდა ავტონომიურ რესპუბლიკაში პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღდგენისათვის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გაშლისათვის, მშრომელთა შეგნებაში არსებითი გარდატეხისა და საერთოდ მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის.

[…]

მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის. ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მშენებელთა წვლილის შესახებ საუბარი სრული არ იქნება, თუ არ ვიტყვით, რომ ამჟამად მიმდინარეობს ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ გაფართოების სამუშაოები, აგრეთვე ქალაქ ტყვარჩელში შენდება ახალი სარეწველო საწარმოები, ხოლო ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღში — თერმული წყლების ბაზაზე 54 ჰექტარ ფართობზე სასათბურე კომბინატი და წელიწადში 8 მილიონი ბროილერის სიმძლავრის მეფრინველეობის ფაბრიკა. ქალაქ სოხუმში შენდება ტელესტუდია, პოლიგრაფიული კომბინატი, მთავრობის სახლი.

მიმდინარე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საგზაო მშენებლობას, რაც გაამჯობესებს ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის მუშაობას. გათვალისწინებულია აგრეთვე აფხაზეთის ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობა.

და, კიდევ ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის ერთი სფერო, ურომლისოდ ნათლად ვერ წარმოვიდგენთ უკანასკნელ ათ წელიწადში აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ პოზიტიურ ძვრებს. ეს გახლავთ ჩვენი მრავალდარგობრივი სოფლის მეურნეობა, რომლის მუშაკებმაც უზრუნველყვეს ყველა ძირითადი სახეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების საგრძნობი გადიდება.

[…]

რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პარტიულ კომიტეტებთან პარტიული ინფორმაციის სექტორის შექმნამ. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კომუნისტების მიერ მასებთან დაახლოების ახალი ფორმების უფრო ეფექტიანმა გამოყენებამ, მოსახლეობის ფართო მასებთან ხელმძღვანელი მუშაკების პირადი კონტაქტების გაფართოებამ, დიდი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ამოცანების გადაწყვეტაში მშრომელთა უშუალო მონაწილეობამ.

ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები უფრო ხშირად იყენებენ ისეთ საჭირო და ნაცად ფორმებს, როგორიც არის, მაგალითად, მშრომელებისათვის, მთელი მოსახლეობისათვის პარტიული კომიტეტების პლენუმების, აქტივის კრებების, სესიების დღის წესრიგის წინასწარ შეტყობინება. გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები კი შემდეგ მიღებულ დადგენილებაში ჯამდება და განზოგადდება.

ინფორმაციების გაცვლის, საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე პარტიული ზეგავლენის მნიშვნელოვანი საშუალება გახდა ერთიანი პოლიტდღეები, რომლებიც ყოველთვიურად ეწყობა. მშრომელებთან უშუალო კონტაქტები, კრიტიკულ შენიშვნებზე ოპერატიული რეაგირება, ხალხისთვის საინტერესო საკითხებზე კომპეტენტური პასუხის გაცემა დადებითი შედეგს იძლევა მასებთან ხელმძღვანელი ორგანოების კავშირის განმტკიცებაში, აუმჯობესებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კლიმატს რესპუბლიკაში.

[…]

ტრადიციად იქცა ეროვნული კულტურის დღეებისა და დეკადების მოწყობა, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს მეცნიერების და კულტურის მოღვაწეთა ინტერნაციონალურ თანამეგობრობას.

ავტონომიური რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ს. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის ამასწინანდელი საგასტროლო მოგზაურობა მოსკოვში, სადაც მაყურებელს უჩვენეს ლ. ი. ბრეჟნევის ცნობილი ნაწარმოების მიხედვით დადგმული საინტერესო სპექტაკლი „აღორძინება“.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისეთი სასიხარულო მოვლენები, როგორიც არის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა შეხვედრები პოეტ-აკადემიკოსთან, სოციალისტური შრომის გმირთან ირაკლი აბაშიძესთან, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანთან პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანთან, თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრისა და ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სახელგანთქმული კოლექტივების არაერთგზის გასტროლები აფხაზეთში და სხვ.

ნათქვამი რომ შევაჯამო, მინდა მოვიყვანო ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვები, სოხუმში რომ წარმოთქვა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლის თავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმზე: „... ყოველივე, რაც დღეს აფხაზეთშია შექმნილი, მთელი მისი მატერიალური და სულიერი სიმდიდრენი —

[…]

რნეო პროდუქციის გამოშვების საგრძნობი ზრდა, სამშენებლო სამუშაოთა ტემპის დაჩქარება. მაგრამ ეს არამც და არამც არ მიგვაჩნია დამაკმაყოფილებლად. ბევრი ხარვეზია ხარისხის პრობლემისათვის ბრძოლაში და ამიტომ საჭიროა უფრო დავხვეწოთ შრომითი კოლექტივების საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები. სიახლეები ამ საქმეში გვაქვს. აი უკვე ორი-სამი წელია კვარტალის, ნახევარი წლის მუშაობის შედეგებს მხოლოდ დარგების მიხედვით ვიხილავთ, რაც საშუალებას გვაძლევს ღრმად და საფუძვლიანად გავერკვეთ წარმატებებსა და ნაკლოვანებებში, მოვისმინოთ და გავითვალისწინოთ სპეციალისტების აზრი.

და ყოველივე, რაც დღეს აფხაზეთშია შექმნილი, მთელი მისი მატერიალური და სულიერი სიმდიდრენი — ეს, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან მეგობრობისა და ძმობის, მათი მონოლითური შეკავშირებისა და ურთიერთდახმარების კანონზომიერი შედეგია.

ყოველივე ეს ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ყოველდღიური ყურადღების და მზრუნველობის შედეგია.

ე. ა. შევარდნაძე

მშენებლობაზე მდგომარეობის გაუმჯობესებაში დიდი როლი შეასრულა სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობისადმი ხელმძღვანელობის საოლქო, საქალაქო და რაიონული შტაბების შექმნამ. უკანასკნელ ხანს ასეთი შტაბები შეიქმნა უმნიშვნელოვანეს ობიექტებზეც, კერძოდ, ოჩამჩირის კომბინირებული საკვების

[…]

დავასახელოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი, რომელიც გადაყვანილია პირველ კატეგორიაზე, საგრძნობლად გაფართოვდა მის მუშაკთა შრომების გამოცემის მოცულობა. მოკლე ხანში დამთავრდება ინსტიტუტის შენობის მთლიანი რეკონსტრუქცია, რაც ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობის ყველა პირობას შექმნის.

ამ პერიოდში დაარსდა ორი ახალი ჟურნალი „აფსნი აყაზარა“ („აფხაზეთის ხელოვნება“) და „აშკოლ აფსთაზაარეი“ („სკოლა და ცხოვრება“), გადიდდა გამომცემლობა „ალაშარის“ პროდუქციის მოცულობა და შესაბამისად მისი შტატები. საქართველოს მკითხველი საზოგადოებისათვის აფხაზური ლიტერატურის უფრო ფართოდ გაცნობის მიზნით გამომცემლობების „საბჭოთა საქართველოს“, „მერანის“, „ნაკადულისა“ და „ხელოვნების“ თემატურ გეგმებში გათვალისწინებულია აფხაზი ავტორების ნაწარმოებთა პუბლიკაციის გადიდება.

აფხაზი და ქართველი ხალხების ძმური ლიტერატურული, კულტურული კავშირების, ინტერნაციონალური მეგობრობის ნათელი დადასტურებაა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისში აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დ. ი. გულიას ძეგლის გახსნა.

ბევრი სიახლეა ავტონომიური რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებაში. დღეისათვის აფხაზეთში მუშაობს სამი თეატრი. საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ს. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრი დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით. აფხაზეთის დედაქალაქი დაამშვენა სოხუმის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალმა შენობამ. შეიქმნა და ყოვე-

[…]

ორგანოებს, ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მშრომელს პარტიის საოლქო კომიტეტი უპირველეს ამოცანად უსახავს სასურსათო და საბინაო პროგრამის გადაჭრას. მისი შესრულების მიზნით შემუშავებულია პრაქტიკული ღონისძიებების კონკრეტული გეგმა, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში მისი რეალიზაცია საგულისხმო შედეგებს მოგვიტანს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „...უკეთ უნდა ვიმუშაოთ, უკეთ უნდა შევადგინოთ გეგმები და უკეთ შევასრულოთ ისინი. უკეთ უნდა მოვაწყოთ წარმოება და უკეთ ვაწარმოოთ. ერთი სიტყვით, ვიმუშაოთ უფრო ეფექტიანად. ეს, ამხანაგებო, საბოლოო ანგარიშით, ძირითადი, გადამწყვეტია“.

ამ სიტყვებში მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის, მთელი საბჭოთა ხალხის, ყველა კომუნისტის, მათ შორის აფხაზეთის კომუნისტების საბრძოლო პროგრამაა ჩამოყალიბებული.

საუბარი ჩაიწერა
ი. გოგეჩიამ.





სურათებზე: მარჯვნივ, ზემოდან — ახალი ათონის ტურისტული ბაზის ახალი კორპუსი; გაგრის შემოვლითი გზის მშენებლობაზე; ქვემოთ — ქალაქ სოხუმის ახალი დასახლება ლეჩქოფის ტაფობზე.

ი. ჯოხონელიძის ფოტოები (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გეორგიევსკის ტრაქტატის, მე-200 წლისთავისათვის

გეორგიევსკში ელოდნენ საქართველოს წარგზავნილებს. მინერალური წყლების აეროპორტში მორიგე-დისპეტჩერმა ეს-ეს არის გამოაცხადა, რომ თბილის-მინერალური წყლების სარეისო თვითმფრინავით მოფრინავს საქართველოს სსრ ქალაქ გორის პარტიულ-სამეურნეო დელეგაცია, რომელიც გეორგიევსკში ამ ქალაქის მშრომელებთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გასაფორმებლად მიემგზავრებაო...

აეროპორტში გულითადი შეხვედრის შემდეგ გეორგიევსკის გზას დავადექით. ამ გზაზე დღეს გაცხოველებული მოძრაობაა. გზები აკავშირებენ ადამიანებს, გზები შეხვედრისა და გაცნობების, სევდისა და იმედის, სიხარულისა და კვლავმონატრების გზები.

ჩვენ ახლა ჩვენი ბრძენი წინაპრების მიერ გაკვალულ გზაზე მივდივართ, მასპინძლები გვერდით გვისხედან და თუმცა მხოლოდ ახლა ვეცნობით ერთმანეთს, თავს ისე ვგრძნობთ, თითქოს დიდი ხნის მეგობრები ვყოფილვართ, უფრო მეტიც, სისხლისმიერი ნათესავები.

სწორედ ამ გზით, დაახლოებით ორასი წლის წინათ ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის მიერ წარმოგზავნილი 24 ელჩი უახლოვდებოდა ქალაქ გეორგიევსკს, უფრო სწორად — გეორგიევსკის ციხე სიმაგრეს.

ეს ციხე სიმაგრე 1777 წელს გენერალ გ. პოტიომკინის ბრძანებით აიგეს როგორც რუსეთის სახელმწიფოს სამხრეთის საზღვრების აზოვ-მოზდოკის თავდაცვითი ხაზის ერთ-ერთი ფორპოსტი. მაშინდელ საინჟინრო ნახაზებში მას წმინდა გიორგის №4 სიმაგრე ეწოდებოდა. აქედან წარმოდგა ქალაქის დღევანდელი სახელწოდებაც.

ქართველი მეფის ელჩობა, როგორც მაშინდელი ისტორიკოსები აღნიშნავენ, გამორჩეული პატივით მიიღეს. 1783 წლის 24 ივლისს გენერალ პ. პოტიომკინის შტაბ-ბინაში შედგა დიდი ისტორიული მნიშვნელობის აქტი: რუსეთ-საქართველოს მხარეებმა ხელი მოაწერეს ტრაქტატს, რომლის ძალითაც საქართველო ნებაყოფლობით შედიოდა რუსეთის მფარველობაში.

სწორედ აქ, ჩრდილოეთ კავკასიის ამ ახალგაზრდა ქალაქში დაემოყვრნენ ჩვენი წინაპრები ერთმანეთს და, როგორც დიდი აკაკი წერდა, შეკრეს „ორთა კავშირი... კავშირი ძმური და მეგობრული“.

გეორგიევსკს შევკრათ

პირობა

ისტორიამ, ჟამთა მსვლელობამ სავსებით დაადასტურა ჩვენი წინაპრების ბრძნული წინასწარჭვრეტა — ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირით გადაერჩინათ ქართველი ხალხი ფიზიკური განადგურებისაგან, რუსეთის ხალხებთან თავისი ბედ-იღბლით დაკავშირებულ საქართველოს უზრუნველეყო პროგრესის გზაზე შემდგომი განვითარება და აღორძინება.

თუმცა მას შემდეგ ორმა საუკუნემ განვლო, ყოფილი რუსეთის იმპერიაში მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ისეთი მოვლენები დატრიალდა, მათი მასშტაბურობა ასეულ წლებს გადასწვდება...

მასპინძლები მასპინძლობენ. მოწვეულია გეორგიევსკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. კრებამ უნდა განიხილოს გასული წლის სამეურნეო შედეგები, მიიღოს მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის სოციალისტური ვალდებულებები და როგორც კრების თავმჯდომარემ, სკკპ გეორგიევსკის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ბენლუცკიმ შეკრებილთ აუწყა, კრების მთავარი მომენტი გორისა და გეორგიევსკის მშრომელთა 1982 წლის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების საზეიმო გაფორმება იქნებაო.

კრებამ საქმიანად, სამეურნეო შედეგების ღრმა ანალიზის ნიშნით ჩაიარა. დიდი ყურადღებით მოისმინეს გეორგიევსკელებმა გორის პარტიული სამეურნეო დელეგაციის ხელმძღვანელის, საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ბელა მაყაშვილის გამოსვლა. რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობაზე ისაუბრეს თავიანთ გამოსვლებში არმატურის ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა დ. მატკოევამ, „კავმრეწვმშენის“ ტრესტის №1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ქვის მთლელთა ბრიგადის ბრიგადირმა ვ. სავჩენკომ, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სამკერვალო ფაბრიკის ოსტატმა ვ. კრასოვსკაიამ და სხვებმა.

დასასრულ საზეიმოდ გაფორმდა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება ორ მოძმე ქალაქს შორის და დარბაზში ერთხელ კიდევ გაისმა მადლობის სიტყვა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, რომლის ბრძნული ხელმძღვანელობითაც საბჭოთა ხალხები ხელიხელჩაკიდებული მოაბიჯებენ კომუნისტური მშენებლობის ფართო გზაზე.

წინაპრების გაკვალული გზით

კავშირი გულთა შორის

გეორგიევსკელებს უყვართ თავიანთი ქალაქი, პატივს მიაგებენ ძველს, სათუთად უვლიან ახალს, ზრუნავენ მის ხვალინდელ დღეზე.

— ისევე როგორც საქართველოში, ჩვენთანაც საგულდაგულოდ ვემზადებოდით გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავისთვის, — გვითხრა გეორგიევსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვიქტორ კოროტამ და მის ნათქვამში მყისვე დავრწმუნდით, როგორც კი ქალაქის დათვალიერება შემოგვთავაზეს.

გეორგიევსკის ქუჩებსა და მოედნებზე გემოვნებით გაფორმებული პანოები რუსი და ქართველი ხალხების საუკუნეობით განმტკიცებულ ძმობას ასახავენ. გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავისათვის მზადება ძალუმად იგრძნობა არა მარტო ქალაქის მხატვრულ-დეკორატიულ გაფორმებაში, არამედ შრომით კოლექტივებშიც.

ქალაქის სამრეწველო საწარმოებში ფართოდ გამოეხმაურნენ წარმოების ნოვატორების — არმატურის ქარხნის ხარატის ა. პეტრენკოსა და სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლის ს. ბიკოვის ინიციატივას, რომლებმაც გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსი და ქართველი ხალხის ძმადნაფიცობის დოკუმენტის შედგენის მე-200 წლისთავის აღსანიშნავად გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

გეორგიევსკში დღეს ახალგაზრდობის კომუნისტური, სამხედრო და პატრიოტული აღზრდა სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის ცხოველი მზადების ნიშნით მიმდინარეობს.

ძნელია დაათვალიერო არმატურის ქარხნის, ქალაქის ამ უძველესი ქარხნის მუზეუმი და აღელვება არ დაგეუფლოს, — სათუთად მოვლილი სტენდები, ქალაქის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ამსახველი მდიდარი ექსპოზიცია...

მუზეუმის დირექტორი ენერგიული და თავის საქმის მოყვარული კაცი გაბრიელ პოდოპრიგორა სიამაყით გვიჩვენებს ახალ ექსპოზიციას „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წელი“. ტრაქტატის ფოტოპირი, სხვა საყურადღებო ისტორიული დოკუმენტები და ფოტომასალა გ. პოდოპრიგორამ დიდი რუდუნებით შეაგროვა და გამოფინა.

გეორგიევსკის ტრაქტატის ირგვლივ ბევრ საინტერესო მასალას ნახავთ ქალაქის №25 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ინტერნაციონალურ კლუბში, ქალაქის სხვა ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურის დაწესებულებებში.

გეორგიევსკი იუბილესათვის ემზადება.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

განიხილავენ ისტორიის საკითხებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა დისკუსია, რომლის მონაწილეებმა განიხილეს საქართველოში სოციალისტური რევოლუციის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების მომწიფების ზოგიერთი საკითხი.

დისკუსია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა დ. სტურუამ.

პროფესორ გ. ჟვანიას მოხსენებაში, პროფესორების ნ. მახარაძის, ნ. სტურუას, ი. კაჭარავას, ს. ჩხარტიშვილის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების ლ. თოიძის, გ. ზაქარიაძის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ს. კვაჟაძის გამოსვლებში აღინიშნა, რომ საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებიც ვ. ი. ლენინის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებით ხელმძღვანელობდნენ, გასწიეს უდიდესი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რომელიც საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დაგვირგვინდა.

(საქინფორმი).

დღის მოთხოვნა: პროფილაქტიკა

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული აქტივის კრება

ახალი ეტაპი დადგა რესპუბლიკაში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ახლა პრაქტიკულად ყოველი დანაშაულის გამოძიება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის კონტროლს ექვემდებარება. მაგრამ ყველავინდებურად ძირითადი ყურადღება ეთმობა სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას. უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ თანამშრომლებს რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელებით დაწყებული და უბნის ინსპექტორებით დამთავრებული, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ეფექტიანი პროფილაქტიკური ღონისძიებანი.

მაგალითად, გასულ პარასკევს თბილისში გამართული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული აქტივის კრების ტრიბუნიდან ითქვა: არასაუწყებო დაცვის ერთ-ერთი პასუხისმგებელი თანამშრომელი დაითხოვეს ორგანოებიდან იმისათვის, რომ უგულებელყოფდა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებას. პრაქტიკამ დიდი ხანია ცხადყო: დამცველი სიგნალიზაცია ბინების გაქურდვის თავიდან აცილების საიმედო საშუალებაა. იმ რეგიონში კი, რომლისთვისაც პასუხს აგებდა ეს მუშაკი — მილიციის პოდპოლკოვნიკი, ქურდობა გახშირდა. აქ დამცავი სიგნალიზაციით დაცულია ძალიან ცოტა ბინები.

კრების მონაწილენი იხილავდნენ გასულ წელს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგებს და პრინციპულ შეფასებას აძლევდნენ თითოეულ ასეთ ფაქტს. ეს სერიოზული გაფრთხილებაა იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ აზროვნებს და მოქმედებს ინერციით, ძველებურად, მაინცდამაინც თავს არ იწუხებს მინდობილ უბანში საქმის ვითარებისათვის. მომხსენებელმა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ი. შადურმა შეახსენა დამსწრეთ, რომ რესპუბლიკის პარტიული აქტივის 1982 წლის იანვრის კრების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერება.

შარშან მივაღწიეთ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა და ბინის გაქურდვის შემთხვევების შემცირებას. ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ტენდენციას წელსაც შევინარჩუნებთ, მაგრამ ახლა საკითხი სხვაგვარად დგას. მთავარია არ დავუშვათ სამართალდარღვევანი.

ვინ არიან სამართალდამრღვევნი? ძირითადად — უსაქმურები. მაგრამ წლითიწლობით მათ სულ უფრო უძნელდებათ შენიღბვა. მაგალითად, შარშან გამოავლინეს 40 პროცენტით მეტი უსაქმური, ვიდრე შარშანწინ, ორჯერ მეტი მოწყობილია სამუშაოდ, მაგრამ ეს ბოროტება ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი. ამას ხელს უშლის ზოგიერთი მოქალაქის ობივატელური პოზიციაც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ, თუ კაცი არ მუშაობს, მაგრამ ცხოვრობს თავისთვის, არავის უშლის, არაფერიც არ ხდებაო, ხოლო როცა „თავისთვის“ მცხოვრები უსაქმური გაქურდავს მეზობელს, გაისმის აღშფოთებული ხმები, მილიცია რას უყურებსო.

მაღალი საზოგადოებრივი აქტიურობა, უკომპრომისობა — აი ის ძალა, რომელსაც შეუძლია ბოლო მოუღოს უსაქმურობას, კიდევ უფრო გააჯანსაღოს მორალური კლიმატი რესპუბლიკაში, ზეგავლენა მოახდინოს სამართალდამრღვევთა სამწუხარო სტატისტიკაზე.

ეს აზრი გამოთქვა კრებაზე გამოსულმა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტმა ნ. ა. როჟკოვმა.

აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც შეიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებაში მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები თ. ნ. მენთეშაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგე ნ. რ. საჯაია, რესპუბლიკის პროკურორი ა. მ. ბარაბაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ი. გვეტაძე და რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ა. ა. შუშანაშვილი.

(საქინფორმი).

ფაქტები ● მოვლენები ● კომენტარი

სოლიდარობის მიტინგი

პარიზი. პარიზის გარეუბან ვილჟუიფში გაიმართა ინტერნაციონალური სოლიდარობის მასობრივი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის კომპარტიის XXIV ყრილობის დამსწრე მთელმა რიგმა დელეგაციებმა. მიტინგის მონაწილენი მხურვალედ მიესალმნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით. მექსიკის, ანგოლის, საბერძნეთის დელეგაციებს, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ჟ. მარშეს.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. კ. უ. ჩერნენკომ, რომელსაც შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. როცა ჩვენ მოსკოვიდან მოვემგზავრებოდით, თქვა მან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა დაგვაბარა წრფელი, გულითადი სალამი საფრანგეთის კომუნისტების, მშრომელებისადმი. მან გვთხოვა გადმოგვეცა, რომ ახლაც სიამოვნებით იხსენებს შეხვედრებს ამხანაგ ჟორჟ მარშესთან და სხვა ფრანგ კომუნისტებთან.

სკკპ დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ იმპერიალიზმის მოქმედების გამო სულ უფრო რთულდება საერთაშორისო ვითარება. ამერიკის შეერთებული შტატები, თქვა მან, ისწრაფვის დაარღვიოს დამყარებული ძალების თანაფარდობა, მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას საბჭოთა კავშირთან შედარებით. რაც უნდა ილაპარაკონ ჩვენზე დასავლეთში, საბჭოთა კავშირი არასდროს ცდილა და არ შეეცდება სამხედრო უპირატესობის მოპოვებას. ჩვენ არ ვყოფილვართ და არც ვიქნებით გამალებული შეიარაღების ინიციატორები. საბჭოთა კავშირის მხრივ ომის საფრთხე, რომელზეც ერთი ამბავი აქვთ ატეხილი ვაშინგტონში, არ ყოფილა, არ არის და არც არასდროს იქნება! მაგრამ ჩვენს თავდაცვით ძლიერებას, რა თქმა უნდა, განვამტკიცებთ, რაც მოგეხსენებათ, გარკვეულ სახსრებსა და მეცადინეობას მოითხოვს.

მაგრამ, რა პირობებიც უნდა შეიქმნას, შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამხანაგებო, რომ ჩვენს პარტიას არასდროს გადაუხვევია და არც გადაუხვევს თავის პრინციპს, თავის მთავარ ლოზუნგს „ყველაფერი ადამიანისათვის!“.

იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიული წრეების ახლანდელი ცდა გზა გადაუღობონ სოციალურ პროგრესს ძალის მეშვეობით, სამხედრო ზემოქმედების მეშვეობით, ქმნის ახალი მსოფლიო ომის პოტენციურ საფრთხეს.

ჩვენ ვამჩნევთ, რომ იმპერიალიზმი არა მარტო ემზადება მსოფლიო მასშტაბის ფართო კონფლიქტისათვის, არამედ ამასთანავე სულ უფრო მეტად მიმართავს „დიდი კეტის“ პოლიტიკას თავის ყოველდღიურ პრაქტიკაში და ბოლოს, თანამედროვე ვითარების ახალი ელემენტი, რომელიც ხელს უწყობს ომის საფრთხის ზრდას, — ეს არის მასირებული ანტისაბჭოური, ანტიკომუნისტური კამპანია, რომელიც გააჩაღეს არა მარტო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, არამედ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ზოგიერთი სხვა ქვეყნის მმართველმა წრეებმაც. საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის სხვა ქვეყნების მიმართ მტრობის სისტემატური და მზაკვრული გაღვივება მიზნად ისახავს კაცობრიობა დასწიოს უკან, „ცივი ომის“ ხანაში.

იმპერიალიზმის პოლიტიკას საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს. საჭიროა შეწყდეს დაძაბულობის შენელების საძირკვლის ნგრევა, ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის ძირგამოთხრა. კვლავ უნდა მივაღწიოთ შემობრუნებას დაძაბულობის შენელებისაკენ, მტკიცე მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ.

სწორედ ამას გვისახავს ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებს მიზნად სკკპ XXVI ყრილობა, ამ ყრილობაზე გამოცხადებული 80-იანი წლების მშვიდობის პროგრამა. ამავე მიზნებს ემსახურება ევროპაში გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის საკითხებისადმი მიძღვნილი სამერმისო წინადადებანი, რომლებიც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა წამოაყენა ბონში.

შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც სოციალისტური თანამეგობრობის ყველა სხვა ქვეყანა, კვლავაც ყველაფერს იღონებს მშვიდობის შენარჩუნებისა და დამკვიდრების, ხალხთა შორის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის დამყარებისათვის. ჩვენ აქ არ დავიშურებთ ძალ-ღონესა და ენერგიას!

გვჯერა, თქვა შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა, რომ არსებობს მტკიცე ობიექტური წანამძღვრები საფრანგეთ-სსრ კავშირის შემდგომი თანამშრომლობისა ბირთვული ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების მშვიდობიანი თანამოქმედების განსამტკიცებლად. ჩვენი ხალხების მეგობრობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია ფრანგი და საბჭოთა კომუნისტების, საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სოლიდარობა და თანამშრომლობა. ჩვენი პარტიების მჭიდრო თანამშრომლობა, ამხანაგური აზრთა გაზიარება ორივე მხარეს რგებს, რგებს ჩვენი ქვეყნების ხალხებსაც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა ფრანგ კომუნისტებს საჩუქრად გადასცა საბჭოთა მხატვრის ქ. ი. კოროლიოვის სურათი „მეგობრობა“, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს სსრ კავშირის და საფრანგეთის ხალხთა მეგობრობას.

მიტინგზე გამოვიდნენ მექსიკის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის, ანგოლის მპლა-შრომის პარტიის, სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობის დელეგაციათა მეთაურები, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ჟორჟ მარშე.

სოციალისტურ ქვეყნებში

● **ჩეხოსლოვაკია**

მიზნობრივი პროგრამებით

პრაღა. მიმდინარე ხუთწლედში ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის წარმატებით განვითარებას ემსახურებიან მრავალრიცხოვანი მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც შეიმუშავეს რესპუბლიკის სპეციალისტებმა. ამ პროგრამის თითქმის ნახევარი მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის წილად მოდის. მათგან ოცდაათზე მეტი მოიცავს ახალი ტიპების მანქანების განვითარების საკვანძო პრობლემებს.

გათვალისწინებულია მაგალითად, ჰიდრავლიკური სისტემებისა და მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი პარამეტრებით, საიმედობითა და ხანგამძლეობით მუშაობაში. სამრეწველო რობოტებისა და მანიპულატორების შექმნა ხელს შეუწყობს საწარმოო პროცესების კომპლექსური ავტომატიზაციის პრობლემების გადაწყვეტას, აგრეთვე თითქმის ორი ათასი ახალი სახეობის ნაწარმის გამოშვების ათვისებას.

● **ვიეტნამი**

საყრილობო ნობათი

ჰანოი. საზეიმოდ გადასცეს საექსპლოატაციოდ ბიმშონის ცემენტის ქარხნის პირველი რიგი, რომელიც შენდება საბჭოთა კავშირის დახმარებით თხანთხუას პროვინციაში. ეს ახალი საწარმოს მშენებელთა ინტერნაციონალური კოლექტივის კარგი შრომითი ნობათი გახდა ვიეტნამის კომუნისტური პარტიის მომავალი V ყრილობისათვის.

მასობრივ მიტინგზე გამოსულმა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჩან კუინ დალმა მაღალი შეფასება მისცა ბიმშონის მშენებელთა კოლექტივის თავდადებულ შრომას. მან თქვა, რომ ქარხნის პირველი რიგის ამოქმედება ვიეტნამისა და საბჭოთა კავშირის ურღვევი ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი ნაყოფიერი თანამშრომლობის მკაფიო დადასტურებაა.

● **მონღოლეთი**

მუშაობენ ზლობინურად

ულან-ბატორი. მონღოლი მშენებლები, რომლებიც განამტკიცებენ მეშვიდე ხუთწლედის პირველ წელს მიღწეულ წარმატებებს, აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მიმდინარე წლის დავალებებისა და მთლიანად ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. დასახული მიჯნების დაძლევაში მნიშვნელოვანი ეტაპი გახდება მშენებელთა კოლექტივების დამკვრელური ვახტი მონღოლეთის პროფკავშირების მომავალი XII ყრილობის აღსანიშნავად.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სამშენებლო ინდუსტრიის მშრომელებმა დანერგეს ბრიგადული იჯარის საბჭოთა მეთოდი. დღეს ქვეყანაში ზლობინურად უკვე მუშაობს ასობით სამშენებლო — სამონტაჟო ბრიგადა.

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო ცხოვრება დედამიწის ზურგზე

8 თებერვალი

საქდესის კომენტარი

ბოლო მოეღოს ბირთვულ საფრთხეს

გასული კვირის მოვლენებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს, რომ ბირთვული ომის თავიდან აცილების, მისი საშიშროების აღკვეთის, გამალებული შეიარაღების ალაგმვის საკითხებს ცენტრალური ადგილი უკავიათ კაცობრიობის მრავალ საზრუნავსა და ამოცანას შორის. ერთი მხრივ, ბევრ ქვეყანასა და ხალხს კვლავ საფრთხეს უქმნის ამერიკის შეერთებული შტატების გეგმები. ვაშინგტონი იმედს ამყარებს ძალაზე, როგორც თავისი პოლიტიკური მიზნების მიღწევის ინსტრუმენტზე. აცხადებს, რომ აპირებს მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას მსოფლიოში. ამერიკის დედაქალაქში გამოაცხადეს, რომ 1983 საფინანსო წელს სამხედრო ხარჯები ასტრონომიულ თანხას — 255 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

მეორე მხრივ, მთელ მსოფლიოში სულ უფრო ეწინააღმდეგებიან პენტაგონის იმ უგუნურ გეგმებს, რომ უბიძგოს კაცობრიობას ბირთვული კატასტროფისაკენ. მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგებში დგებიან მშრომელთა სულ ახალ-ახალი რაზმები, ყველა კეთილი ნების ადამიანი, რომლებიც სხვადასხვა საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, რელიგიურ მიმდინარეობასა და მიმართულებას ეკუთვნიან. ისინი მტკიცედ გმობენ ომისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მატერიალურ მზადებას, მის დოქტრინებს, რომელთა მიზანია წაშალონ ზღვარი ბირთვულ და ჩვეულებრივ იარაღს შორის, მოსპონ მორალურ-პოლიტიკური დაბრკოლებანი ბირთვული იარაღის გამოყენების გზაზე და უფრო მეტიც, დაასაბუთონ, რომ დასაშვებია ამ იარაღის ხმარება „პირველი დარტყმის“ მისაყენებლად. ომის საწინააღმდეგო მოძრაობის ფართო გაქანებას ცხადყოფს თუნდაც ის ფაქტი, რომ მარტო გასული ერთი კვირის მანძილზე განხორციელდა ისეთი მნიშვნელოვანი აქციები, როგორიც არის ვენაში მიმდინარე მსოფლიო კონფერენცია — დიალოგი განიარაღებისა და დაძაბულობის შენელების საკითხებზე, ჰამბურგის სამეცნიერო სესია, რომლის დევიზია „ატომური სიკვდილი გვემუქრება ყველას — მეცნიერები მშვიდობის სამსახურში“, მრგვალი მაგიდის სხდომა გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ დელში და სხვა.

მოსკოვში ჩამოვიდა სოციალისტური ინტერნაციონალის საკონსულტაციო საბჭო, რათა განეგრძოთ ჯერ კიდევ 1979 წელს დაწყებული დიალოგი დაძაბულობის შენელების, განიარაღებისა და მშვიდობისათვის ბრძოლის პრობლემებზე. საბჭოს წარმომადგენლები მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელმაც თანამოსაუბრეთა ყურადღება მიაპყრო იმას, თუ რა სახიფათო შედეგებს მოუტანს საყოველთაო მშვიდობის საქმე ნატოს ბლოკის, და უპირველეს ყოვლისა მისი მთავარი ძალის — ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი გზა. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ხაზგასმით აღინიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ XXVI ყრილობის მიერ განსაზღვრული საბჭოთა კავშირის პრინციპული ხაზი მშვიდობის მტკიცე დაცვაა. სსრ კავშირი ყრილობის მიერ მიღებულ მშვიდობის პროგრამის დებულებებს კვლავაც შემატებს ახალ კონკრეტულ ინიციატივებს, იღვაწებს ომის საფრთხის შესუსტებისათვის, მშვიდობის განმტკიცების, დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის.

შეაფასეს მდგომარეობა

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა

ვარშავა. აქ გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა, რომელზეც შეაფასეს პოლონეთის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეკონომიკური რეფორმის დანერგვას.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ორგანიზაციულ-ტექნიკური მეცადინეობა სანედლეულო, მატერიალური და კოოპერაციული სიძნელეების დაძლევისათვის, საკონტროლო მექანიზმების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, კერძოდ, ფასების განსაზღვრისას.

პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ უნდა გაძლიერდეს საქარხნო პარტიული და სავოევოდო ორგანოების მუშაობა კონკრეტული საწარმოო პრობლემების გადაწყვეტისათვის, აგრეთვე უფრო ნაყოფიერი მუშაობის მიზნით მშრომელთა კოლექტივების დარაზმვისათვის. სხდომაზე მადლობა გადაუხადეს მაღაროელებს, რომლებმაც გაზარდეს ქვანახშირის მოპოვება. პოლიტბიურომ განსაზღვრა პარტიული ორგანიზაციების ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის ამასწინანდელ სესიაზე ვ. იარუზელსკის გამოსვლიდან.

ფოტოობიექტივი ამხილებს

● **გფრ**

კაპიტალის სამყაროში, სადაც ყველაფერი მოგების მიზნებს ემსახურება, ურცხვად ხელყოფენ ადამიანის ძირითად უფლებებს. მმართველი წრეების პოლიტიკა, რომელიც არ შეესაბამება მშრომელთა საარსებო ინტერესებს, ართმევს მათ შრომის, განათლების, საცხოვრებელი ბინის უფლებას. სახელმწიფო ასიგნებანი, რომლებსაც ისედაც „მომჭირნედ“ ხარჯავენ სოციალური საჭიროებებისათვის, ხმარდება გამალებულ შეიარაღებას, სამხედრო ტექნიკის მწარმოებლებს მილიარდობით შემოსავალს რომ აძლევს.

სურათზე: ამ ბინაში ცხოვრობს აუგსბურგელი (გფრ) უმუშევარი მებეტონის ოჯახი, რომელიც ცხრა წევრისაგან შედგება.

საქდესის ფოტო.

ნება არ დართეს

სოლსბერი. კეიპტაუნიდან მიღებული ცნობების თანახმად, პრეტორიის რასისტულმა ხელისუფლებამ უარი თქვეს მიეცათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სპეციალური მისიისათვის იმის შესაძლებლობა, რომ შეხვედროდნენ სამხრეთაფრიკელ, ამერიკელ და ინგლისელ დაქირავებულებს, რომლებმაც თავი შეაფარეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას სეიშელის კუნძულების რესპუბლიკის მთავრობის დამხობის მარცხიანი ცდის შემდეგ.

მისია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩავიდა იმპერიალიზმისა და რასიზმის ამ დანაშაულებრივი აქციის გარემოებათა გამოსაძიებლად.

კაპიტალის სამყაროში

XX საუკუნის მონათმფლობელები

ნიუ-იორკი. ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ როლში დამთავრდა პროცესი, რომელმაც კიდევ ერთხელ გამოიტანა სამზეოზე თანამედროვე ამერიკული საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო მოვლენის — მონობის არსებობა შეერთებულ შტატებში. სამი განსასჯელი — ძმები დენის და რიჩარდ უორენები და მათი თანამზრახველი ჯონ ჰარისი დამნაშავედ ცნეს იმაში, რომ ისინი ძალით იტაცებდნენ ადამიანებს და უმოწყალოდ ამუშავებდნენ მათ პლანტაციაში. ისინი, ვინც პლანტაციაში მოხვდებოდა, მათ უმრავლესობას კი შავკანიანი ამერიკელები შეადგენდნენ, ნამდვილი მონები ხდებოდნენ. ისინი მთელი დღის განმავლობაში შეუსვენებლივ მუშაობდნენ. მონებს თავზე ადგნენ რევოლვერებით შეიარაღებული უორენები და ჰარისი, რომლებიც შეურაცხყოფდნენ და სცემდნენ მათ, ღამღამობით მონებს ბორკილებს ადებდნენ და ბარაკში კეტავდნენ.

თანამედროვე მონათმფლობელთა საქმე ფართოდ გახმაურდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, და მათ მიერ ჩადენილ დანაშაულობათა ფაქტებმა ამერიკის ფართო საზოგადოების გულისწყრომა გამოიწვია. ყოველივე ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ განსასჯელებს გამოუტანეს საკმაოდ მკაცრი განაჩენი — მრავალი წლის პატიმრობა. ამგვარი პროცესები პრაქტიკულად გამონაკლისია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, თუმცა არა ერთგზის უღიარებია ამერიკის პრესას. მონების ფართო გამოყენება ქვეყნის სამხრეთის პლანტაციებში ჩვეულებრივი მოვლენაა.

პრესა ადასტურებს

ქმნიან მარაგს

ნიუ-იორკი. რეიგანის ადმინისტრაცია, რომელიც დაადგა შეერთებული შტატების აგრესიული სამხედრო ძლიერების ყოველმხრივი გაზრდის საშიშ კურსს, აჩქარებს პენტაგონის აღჭურვას ბარბაროსული ქიმიური იარაღით.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების იმ „უნარის“ გაძლიერება, რომ აწარმოოს ქიმიური ომი, ამ ეტაპზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყების კურსის „ერთ-ერთი უპირველესი ელემენტია“. მთავარი ყურადღება პენტაგონის პროგრამაში, წერს გაზეთი, ეპყრობა ეგრეთ წოდებული ბინარული გაზის საკმარისი მარაგის შექმნას. გარდა ამისა, ახლა უფრო მეტად, ვიდრე წინათ, ყურადღება ეთმობა პირადი შემადგენლობის მომზადებას საბრძოლო მოქმედებისათვის ქიმიური იარაღის გამოყენების პირობებში. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობები მოწმობს, რომ პენტაგონის სტრატეგებს ამ იარაღის გამოყენება სავსებით შესაძლებლად მიაჩნიათ.

მამაცობის, ვაჟკაცობის, დიდების შესახებ

მათი საგმირო საქმეები მარადჟამს იცოცხლებს

განვლო ათწლეულებმა, გაივლიან ასწლეულები, მაგრამ ხალხის ხსოვნაში მარად იცოცხლებენ საბჭოთა სამშობლოს დამცველები, რომლებმაც დაამარცხეს მტერი, დაიცვეს თაობათა თავისუფლება და ბედნიერება. ჩვენ გვეხსომება, მუდამ მადლიერი ვიქნებით იმათი, ვინც იბრძოდა, კვდებოდა, მაგრამ გაიმარჯვა, ეს ხსოვნა წლების განმავლობაში უფრო მტკიცდება და ძლიერდება. მამა-პაპათა ამაღელვებელი გმირული საქმეებით ახალგაზრდობა ეცნობა დიდი სამამულო ომის გმირულ ფურცლებს, სახელოვან მამულიშვილებს.

გამოჩენილი საბჭოთა მხედართმთავრის, მე-18 არმიის სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის ნათელი ცხოვრება და სახელოვანი საბრძოლო გზა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ნამდვილი სკოლაა, უდიდესი ზნეობრივი, პოლიტიკური ძალა აქვს. ამ თვალსაჩინო მხედართმთავარს მიეძღვნა საღამო, რომელიც მოაწყვეს თბილისის საოლქო ოფიცერთა სახლმა და წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკურმა გამგეობამ, და დაუკავშირდა კავკასიის დაცვის მე-40 წლისთავს. ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ისტორიის მუზეუმში შეიკრიბნენ ომის ვეტერანები, მე-18 არმიის ყოფილი მებრძოლები, ისინი, ვინც ახლა მსახურობს საბჭოთა არმიაში.

საღამოზე გამოსულებმა — წიგნის „კონსტანტინე ლესელიძის“ ავტორმა, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორმა მ. დავითაშვილმა, მე-18 არმიის ვეტერანებმა, მცირემიწელებმა ი. კეზერაშვილმა და შ. თათარაშვილმა, წიგნის მოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. კაკაბაძემ და სხვებმა შეკრებილთ გააცნეს კ. ლესელიძის გმირული ცხოვრება.

კ. ნ. ლესელიძის დამსახურებას სამშობლოს, ხალხის წინაშე მაღალი შეფასება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, მე-18 არმიის პოლიტიკური განყოფილების ყოფილმა უფროსმა ლ. ი. ბრეჟნევმა: „კონსტანტინე ლესელიძე დამახსოვრდა როგორც ქართველი ხალხის საუკეთესო თვისებების განსახიერება. ეს იყო სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი, მტრისათვის მკაცრი და მეგობრისათვის გულუხვი, პატიოსანი კაცი, სიტყვის კაცი, გონებამახვილი და გულმგზნებარე“.

ახალგაზრდა მეომართა აზრები და გრძნობები გამოხატა ქვეგანაყოფის ზემდეგმა, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულმა სერჟანტმა ა. დორონგოვმა, რომელმაც თქვა, რომ მამა-პაპათა სახელოვან ტრადიციებს — მამულისათვის უანგარო სამსახურის ტრადიციებს, წმინდად იცავენ და ავითარებენ დღევანდელი მეომრები. (საქინფორმი).

ნ ი ღ ა ბ ი,
რომელსაც დიდხანს ვერ ატარებ

დიახ, ნიღაბი, ნიღაბი თავისი არსითა და აზრით, მიმართებით. თავისი საოცარი მრავალსახეობითაც კი, თუ გნებავთ. ეს არ გეგონოთ უბრალო და უწყინარი, ზოგჯერ გასართობად რომ მიმართავდნენ, ისეთი ნიღაბი. არა, ეს არის ნიღაბი, მძიმე და საშიში, არა უწყინარი და არა უტკინარი, არა მოჩვენებითი და სათამაშო...

ეს არის ორპირი კაცის ნიღაბი.

ყოფილა თურმე ასეთიც: ორპირი, გაორებული, ორსახოვანი კაცის ნიღაბი.

და თანაც: განსაკუთრებით მოულოდნელი, რადგან იგი ამჯერად იქ შემოგვეფეთა, სადაც არავინ ელოდა. დასამალი და თვალის ასარიდებელი არაფერია: ახლა, დღეს, დღევანდელ საქართველოში, იმ რესპუბლიკაში, რომელმაც ასეთი აღმაფრენით იზეიმა თავისი აღმასვლის ექვსი ათწლეული და რომელმაც ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საოცარ ძვრათა ქარტეხილები გამოიარა დღევანდელ სიმაღლეთა მისაღწევად, ნიღბიანი ადამიანები აქა-იქ ჯერაც შემორჩნენ.

დრომოჭმულთან და ალმაცერთან ბრძოლის დიალექტიკაა თავად ასეთი:

- დურდო და წუნი ასე იოლად როდი იწმინდება. წლების მანძილზე ზოგ-ზოგის გულსა და გონებაში გამჯდარი სიმახინჯე ისე მტკიცე და ჟანგივით ყველგან შეღწევად-ღონიერია, რომ ერთხელ შეპარული, სულს მერე ძნელადღა თუ მოეშორება. და ამ ათი წლის საოცარ ღირებულებათა შორის ერთი უპირველესი ის არის, რომ მრავალთა და მრავალთა სულში შეპარული ეს სიმახინჯე — ალებ-მიცემობის, ძმაბიჭობა-გარიგების, მრუდედ ცხოვრების, კაცურკაცობის გაყალბების და პატივის ახდის ჟანგი თანდათან ჩამოირეცხა და ირეცხება; თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, გულდაგულ, მტკიცედ და დაბეჯითებით.

ეს ათი წელი თავისი სიხარულითა და ტკივილებით ბევრი მომავალი ათი წლის მშობელი და ხელდამსმელია. ახალი სიცოცხლეც ხომ ასეთი ტკივილებით, ასეთი წვალებით ჩნდება ხოლმე! და მერე იგი — ეს ახალი სიცოცხლე — მთელი თავისი დღე და მოსწრება მადლიერი და მადლობელია იმისი, ვინც მას მკერდში ჯანსაღი გული ჩაუდგა და თვალებში სინათლის სხივი აუნთო, ვინც ფილტვები სუფთა ჟანგბადით აუვსო და ენა კეთილ სიტყვათა სათქმელად აუდგა, ვინც კაცურკაცური მუხლი გაუმართა და სწორი სიარული ასწავლა ამ ცხოვრების უსასრულო აღმართ-დაღმართებზე...

ამ ძნელ და მძიმე, მაგრამ დიდი გამარჯვებებით გავლილ ათწლეულსაც ძალიან ბევრი მომავალი ათწლეული ეყოლება მადლიერი და კეთილად მომგონებელი, რადგან იგი უთუოდ კარგი ძიძა და იმედიანი მეკვლე გამოდგა მომავლისა.

დღეს? დღეს ბრძოლაა გზაში, სიკეთისაკენ მიმავალ გზაში. ჯერ კიდევ ბრძოლაა. და, რაც მთავარია, ძალიან ბევრგან და ძალიან ბევრში — უკვე მოგებული ბრძოლა. მაგრამ ნიღბები ჯერ კიდევ არის. და უცნაურია მათი მრავალსახეობა, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასე ამომწურავად და მრავლისმთქმელად აღწერილი:

— ნიღაბი სახეზე ასაფარებელი ნაჭერია, თვალებისათვის (ჩაუკვირდით ამ სიტყვას!) დატოვებული, ნახვრეტებით; ფარავს მთელ სახეს ან მის ზედა ნაწილს;

— ნიღაბი, თურმე, თეატრალური აქსესუარიცაა, როგორც ადამიანის ტრაგიკული ან კომიკური გამომეტყველების გამომხატველი პირბადე;

— და კიდევ: თავისი გადატანითი მნიშვნელობით — გარეგნული, მოჩვენებითი, თვალის ასახვევი, ნამდვილ ზრახვათა დასაფარავი...

და რა საოცრებაა, როდესაც ყველაფერი ეს ეხება ერთ კაცს, ერთიანდება და თავს იყრის ერთ კაცში, და ეს ნიღაბი ახადეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, — დიახ, **პროფესორს!** — სამოც წელს გადაცილებულ კაცს, მეცნიერებათა დოქტორს, საშუალო სკოლების მასწავლებელთათვის განკუთვნილი ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორს, კაცს, რომელიც ათეული წლების მანძილზე თამაშობს საზოგადო მოღვაწის როლს, თავს ახალგაზრდობის მრავალი თაობის აღმზრდელად თვლის...

ეს კაცია **გიორგი ივანეს ძე წიბახაშვილი** — სპეციალისტ-ფილოლოგთა წრეში საკმაოდ ცნობილი თავისი ნაშრომებითა და პოლემიკური წერილებით, მაგრამ... სამაგიეროდ, ამ ბოლო დრომდე, — ე. ი. სათანადო ორგანოების მიერ მხილებამდე, — სრულიად უცნობი, როგორც პირწავარდნილი „ანონიმშჩიკი" (ეს სიტყვა გაცილებით სრულად გამოხატავს აზრს, ვიდრე ცნება „ანონიმური წერილების ავტორი") და ცილისმწამებელი, ამ საქმეში საკმაოდ დახელოვნებული და გათვითცნობიერებული „პროფესიონალი". მხოლოდ იგი ისეთი გულუბრყვილო და ავადმყოფი მანიაკი არ გეგონოთ, თავის მეზობლებზე ან თანამშრომლებზე, რომ წერდეს ანონიმურ წერილებს. არა: წიბახაშვილი რის „პროფესორია", ასე რომ დაწვრილმანდეს. მისი ანონიმური წერილები, მართლაც რომ განსაკუთრებულია თავისი ღვარძლითა და ცინიზმით, ნიჰილიზმით და ყოველივე იმის აბუჩად აგდებით, რაც დღეს კეთდება ჩვენში, რაშიც მილიონობით მართალი და პატიოსანი ადამიანის სისხლი და ოფლია ჩაღვრილი, რაც არაერთ უძვირფასესი სიცოცხლე დაჯდა, და რის დაცვასაც, რის სიმრთელე-სიჯანმრთელეს და ხვალინდელ სიმრავლესაც კიდევ არაერთი გული და სიცოცხლე დასჭირდება.

გ. წიბახაშვილი თავის ანონიმურ წერილებში დასცინის, აყალბებს, აქირქილებს ყოველივე ამას; იგი მხოლოდ და მხოლოდ შავ ფერს ამჩნევს ირგვლივ, მხოლოდ შავად ღებავს ჩვენს ცხოვრებას, მის ყველა მიღწევას, მის სიკეთეს. არადა, თავადაც ხომ ამ სიკეთეების ღვიძლი შვილია: ამ ქვეყანაში დაიბადა და გაიზარდა, აქ მიიღო განათლება, აქ გახდა მეცნიერებათა დოქტორი, მიიღო პროფესორის წოდება, და არაფერი და არასოდეს ამ ცხოვრებისეული სიკეთეებისაგან მას არ დაკლებია! მაგრამ ყველაფერი ეს ახლა მისივე ანონიმური წერილებითაა ხაზგადასმული და აბუჩად აგდებული, და დარჩენილია მხოლოდ ღვარძლი, ყველას და ყველაფრის უარყოფა, ეჭვითა და ცინიზმის დაგესლილი სიკეთე და ადამიანობა, უკეთურობა; ბოროტადაა ჩაწიხლული პატიოსან ადამიანთა ცხოვრება, შრომა და იმედები. წიბახაშვილი მხოლოდ მრუდე სათვალეებით უყურებს ცხოვრებას. მეტი „დამაჯერებლობა" რომ მისცეს თავის ანონიმურ წერილებს, იგი ხელს აწერს ახალგაზრდების სახელით, ახალგაზრდობის ზურგს ეფარება! ერთგან წერილი მთავრდება მინაწერით: „92 გვარი, ასაკი 18-20 წელი"... მეორეგან: „მიღებულია კუკიის სასაფლაოზე გამართულ მიტინგზე"... მესამეგან: „კუკიის დასახლება".

არავის უთხოვია მისთვის ახალგაზრდობის, განსაკუთრებით კი სტუდენტი ახალგაზრდობის სახელით ლაპარაკი. ჩვენს სტუდენტობას ყოველთვის ჰქონდა, დღესაც აქვს და მუდამაც ექნება იმის შესაძლებლობა, რომ თავად და თვითონ, სხვის დაუხმარებლად, განსაკუთრებით კი აი, ასეთი პირწავარდნილი ცილისმწამებლების დაუხმარებლად თქვას თავისი სათქმელი, თქვას გულწრფელად და გულახდილად, თქვას ნებისმიერი ტრიბუნიდან, ნებისმიერ საჭირბოროტო საკითხებზე.

დასტური? ჩვენს რესპუბლიკაში ამ უკანასკნელ წლებში გამართულ სტუდენტთა აქტივის ასეთი წარმომადგენლობითი შეკრებები, მათი სული და სულისკვეთება, მთელი რესპუბლიკის მიერ საყოველთაოდ ატაცებული დევიზი და მოწოდება ამ კრებებისა — „ძირს სიყალბე და ფორმალიზმი! გაუმარჯოს გულწრფელობასა და გულახდილობას!" ეს ხომ ბევრი ზემოთ თქმულის დასტურიც არის და იმის ხაზგასმაც, რომ არავის არა აქვს ახალგაზრდობის სახელით სპეკულაციის უფლება, და ეს „არავის", უწინარეს ყოვლისა, სწორედ ისეთ „ვაი-მოღვაწეებს" ეხებათ, როგორიც გ. წიბახაშვილი გახლავთ. ჩვენს ახალგაზრდობას მათი საქომაგო და მით უმეტეს, მათი ენით სალაპარაკო არაფერი სჭირს!

თურმე, — დღისით გიორგი ივანიჩი (ასე უწოდებენ მას კოლეგები და სტუდენტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რუსული ენის კათედრაზე) ლექციებს რომ უკითხავს სტუდენტებს, ღამით იმავე სტუდენტობის სახელით „თხზავს" უსახელო და უსახო წერილებს:

— არასოდეს არ აშენდება!..
— ნურაფერ სიკეთეს ნუ ელით!...
— არ გამოიდარებს!...
— ვილუპებით!...
— დაიქცევა!...
— ეს რა ხდება!...

არაფერი არ ხდება საოცარი და არაბუნებრივი; ხდება ის, რაც უკანასკნელი წლების თვალნათელი ბიძგია: პატიოსანი ადამიანები ებრძვიან ზოგან ჯერ კიდევ შემორჩენილ უპატიოსნობას, ადამიანები იბრძვიან ცხოვრების უკეთ გარდაქმნისათვის, და შენც — თუ შენში არის ნასახი ამ კეთილი ადამიანური პატიოსნებისა, უნდა გქონდეს უნარი, რომ დაინახო ყოველივე ეს. თითოეულის მოქალაქეობრივი ვალი ესეც არის. ნიღბის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ხომ ისიცაა, რომ იგი სახეზე ასაფარებელი ნაჭერია, თვალებისათვის დატოვებული ნახვრეტებით. მას კი — ამ ანონიმური წერილების ავტორს — სწორედ თვალებზე აქვს აფარებული ეს ნიღაბი და ვერაფერს სასიკეთოს ვერ ხედავს ცხოვრებაში! თანაც, ნიღაბი, როგორც თეატრალური აქსესუარი, ადამიანის ტრაგიკული ან კომიკური გამომეტყველების გამომხატველიაო, ამბობენ. რომელ კატეგორიას მივაკუთვნოთ ამ „წერილების" ავტორი: კომიკურს თუ... ტრაგიკულს?

იქნებ მართლაც, ცხოვრების სირთულეები, ობიექტური თუ სუბიექტური სიძნელეები აწუხებს პროფესორს? იქნებ მართლა ჩააფიქრა იგი ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებულმა სირთულეებმა, იმ ანტიპოდურმა მოვლენებმა, რომლებიც აქა-იქ კვლავ და კვლავ იჩენენ თავს? იქნებ ეს აწუხებს წიბახაშვილს? მაგრამ, ეს რომ ასე ყოფილიყო, განა საამისოდ აუცილებელი იყო ასეთი ანონიმური წერილების წერა? საქმე, კაცობა და ვაჟკაცობა ის არის, რომ ცხოვრებაში არსებული ნაკლი დაინახო კიდეც, თქვა კიდეც, თქვა მართებულად, საქმის ცოდნით, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე და არა ნიშნისმოგებით!, — და რაც მთავარია, იბრძოლო კიდეც მის გამოსასწორებლად; იბრძოლო მთელი შენი არსებით, შენს ხალხთან ერთად, შენს დროსთან ერთად და ამაში ხედავდე შენს მამულიშვილურ მოვალეობას.

ეს ანონიმური წერილები სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი უღონობისა და უუნარობის დასტური; იმის დასტური, თუ როგორ ჩამორჩა კაცი ცხოვრებას და მის ყოველდღიურობას, როგორ დაპატარავდა და დაჩიავდა საკუთარ თავში, თავის ვიწრო პროფესიულ ინტერესებში (თუ ნაჭუჭში?) ჩაკეტილი, როგორ ვერ მოძებნა და არ მოძებნა თავისი ადგილი იქ, სადაც დღეს მებრძოლ პატიოსან ადამიანთა ჭეშმარიტი სარბიელია.

რაც შეეხება ჩვენს ცხოვრებაში ჯერაც არსებულ სიძნელეებს, ამ ათი წლის მანძილზე არავის და არასოდეს არ დაუმალავს ეს სიძნელეები. პირიქით, ჩვენ ყოველთვის დიდი პარტიული სიმართლითა და პირდაპირობით, ზოგჯერ საოცარ ტკივილამდე მისული პირდაპირობითაც კი გვეუბნებოდნენ და გვახსენებდნენ, და დღესაც კვლავ და კვლავ გვეუბნებიან და გვახსენებენ, გვაფრთხილებენ და მოგვიწოდებენ ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, მათ წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერების აუცილებლობაზე, იმის თაობაზე, რომ ყურადღების მოდუნება ერთი წუთითაც არ შეიძლება.

სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა: ათწლეულების წინ, ათწლეულების მანძილზე გამრუდებული ზნე და ყოფა ხელის ერთი დაკვრით არ გასწორდება. ეს ბრძოლა, ეს შეტევა სულ უფრო ძლიერდება, და ამის დასტურად შეიძლება თუნდაც სულ ახლახან, ამ რამდენიმე დღის წინათ ნათქვამი სიტყვებიც გავიხსენოთ:

— ...იმის თქმა... არ გვინდა, რომ ჩვენში უკვე ყველაფერი რიგზეა, რომ ყველა პრობლემა გადაწყვეტილი გვაქვს, რა თქმა უნდა, არა. ვაწყდებით ხოლმე ობიექტურ სიძნელეებსაც, რომლებსაც არასდროს არ ვუმალავთ ჩვენს ადამიანებს, ჩვენს მშრომელებს. ჩვენ არ ვმალავთ მათ იმიტომ, რომ დარწმუნებული ვართ: როცა უკეთ ეცოდინებათ ამ სიძნელეების ამბავი, ჩვენი ადამიანები უფრო მეტად გაირჯებიან მათი დაძლევისათვის და უსათუოდ დაძლევენ კიდეც...

და კიდევ:

შეუძლებელია აქვე არ მიუბრუნდე საყოველთაოდ ცნობილ აზრს იმაზე, რომ ყოველივე ის, რაც ხალხის უდიდესი მონაპოვარია, მკაფიოდ უნდა გამოვაცალკევოთ ყოველივე იმისაგან, რასაც პრაქტიკულად, ყოველდღიურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ ვერ ვაკეთებთ რიგიანად, უშეცდომოდ, უხარვეზოდ. ამის გარჩევა და ამისათვის ბრძოლა, როგორც ეს თვით ჩვენი რესპუბლიკის უკანასკნელი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ცხოვრებამაც ცხადყო, ჭეშმარიტი მამულიშვილების გზა და მოწოდებაა. არ დავმალავთ — რთული და ძნელი, მეტისმეტად ძნელიც კი, წიბახაშვილს და მისთანებს ეს გზა ხელს არ აძლევთ, მათ არჩეული აქვთ მეორე: ლაყბობისა და კრიტიკანობის, არსებულ ნაკლოვანებათა კიდევ უფრო გამუქების, დრამატიზირების, რეალური და მოჩვენებითი სიძნელეებით სპეკულაციის გზა, ღვარძლის, გესლის, ეჭვის დათესვის გზა. ეს არაა ბრძოლა გზაში, როდესაც შენ შენი წილი ფაცერი უნდა ჩაუდგა დურდოსა და წუნს; პირიქით, ეს ამ ფაცერის მოშლის ცდაა. რა საცოდავია ასეთი კაცი და როგორ ჰგავს იგი იმ უმადურ გუთნისდედას, რომელიც თავისი საკუთარი დედის საფლავს მისდგომია და ასე საგულდაგულოდ ხნავს, დაჰკირკილებს და აჩანაგებს.

რა საცოდავია, და თანაც რა საშიშია ასეთი „გუთნისდედა!"

მით უმეტეს — პროფესორის მანტიით, ერის ცოდნისა და სიბრძნის, მამულიშვილთა დაზრდის უწმინდესი ტაძრის — თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი აღმზრდელთაგანი!

გულს ყველაზე მეტად ის სტკივა, რომ — წიბახაშვილისა არ იყოს — მისებრ შავ სათვალეებს ზოგჯერ ისეთი ვინმე უფრო ატარებს ხოლმე, ვისაც არც უწინ და არც ახლა ამ ცხოვრებისაგან არაფერი სიკეთე არ დაკლებია, თუ რამ შეუქმნია და გაუკეთებია ღირებული, ყველაფერი — დიახ, ყველაფერი! — ერთი ათმაგად დაფასებია, არც სახელი დაკლებია, არც სახრავი და დიდება, მამულზე და მამულიშვილობაზე გვარიან ლექციასაც წაგიკითხავს, სინამდვილეში კი...

ეტყობა, პროფესორს მუდამ ანონიმურად დარჩენის იმედი ჰქონდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს იგი თავისივე ანონიმური წერილებით ამხილეს სამართალდამცველმა ორგანოებმა. თავზე დაადგნენ, ეს რა გიკადრებიათო, უთხრეს. ფაქტებს პროფესორიც ველარ გაექცა და თავადაც დაადასტურა: ეს წერილები ჩემი შეთხზულიაო.

და დაიწყო თვითგვემა: წერს ახლა ნიღაბახდილი წიბახაშვილი თავისი ხელით, წერს გარკვევით, ზუსტად, მკაფიოდ:

— ბურანიდან გამოსულივით დავდივარ, ველარ ვმშვიდდები... ერთი კითხვა დამდევს თან: რა დამემართა?.. რაც მეტს ვფიქრობ, უფრო მეტს ვგრძნობ; ეს რა ჩავიდინე, რა ჭაობში ვარ ჩაფლული... საიდან მოდის ეს გაბოროტება?.. საიდან, როგორ, რანაირად?.. მე როგორ აღმოვჩნდი უმადური? წვრილმან ფაქტებს ბოროტი განზოგადება მივეცი!...

საოცარი კითხვებია:

„საიდან მოდის ეს გაბოროტება?"

„მე როგორ აღმოვჩნდი უმადური!..."

„წვრილმან ფაქტებს ბოროტი განზოგადება მივეცი!..." საქმეც ესაა:

გაბოროტება, უმადურობა, ბოროტი განზოგადება. ალბათ, ამასაც გულისხმობს ცნება „ნიღაბი" თავისი გადატანითი მნიშვნელობით:

გარეგნული, მოჩვენებითი, თვალის ახვევი, ნამდვილ ზრახვათა დასაფარავი...

ასეთ ნიღაბს დიდხანს ვერ ატარებ. დღეს, დღევანდელ საქართველოში, როდესაც ყველა სხვა ფასზე მაღალია პატიოსნების, კაცურკაცობისა და ჭეშმარიტი მამულიშვილობის ფასი.

და თუ რამ დარჩენია საიმედო ყოველივე ამისათვის ასეთი გამეტებით ზურგის შემქცევ, ღვარძლით დამგესლავ და გზააბნეულ კაცს, ეს ისევ და ისევ ადამიანთა ის სიკეთე, გულითადობა და სულგრძელობაა, ჩვენს ხალხს, საზოგადოებას, დღევანდელობას, ჩვენი ცხოვრების კანონებს რომ ახასიათებს საერთოდ. თბილისის უნივერსიტეტი და უნივერსიტეტელები, ალბათ, სასიკვდილო განაჩენს არ გამოუტანენ პროფესორ წიბახაშვილს, ამ შავ წერტილს ისინი ჩვენი უნივერსიტეტისათვის — სიბრძნის ამ თეთრი და წმინდა ტაძრისათვის შესაფერის სულგრძელობას დაუპირისპირებენ. მით უმეტეს, ახლა გ. წიბახაშვილი თვითონაც ასე ნანობს, ასე განიცდის ყოველივე მომხდარს.

საბედნიეროდ, წიბახაშვილისეული უსიამო ლაქა ვერ დააკლებს ვერაფერს ჩვენი უნივერსიტეტის სახელსა და სიწმინდეს. დიახ, ვერაფერს დააკლებს, რამეთუ იგი ჭეშმარიტი მამულიშვილების ოფლითა და სისხლითაა ჩაკირული;

წმინდა გულებითაა ნაგები და წმინდა გულებისთვისაა ნაგები;

სახელოვან შვილთა სიმრავლით იყო მუდამ იგი ძლიერი, ფუძელონიერი, მხრებგამართული და თვალნათელი.

ასეა დღესაც:—სახელოვან შვილებს უზრდის იგი ქვეყანას.

სახელოვანთ: სწრაფვით, განცდით, შემართებით, კაცობით!

ჯ. ნინიძე.

თვითნასწავლ მხატვართა სამყარო

ადიგენიდან ახალციხის გზაზე დამდგარ სამცხე-ჯავახეთში ამ ბოლო დროს განსაკუთრებით იგრძნობა ხალხური შემოქმედების აღმავლობა. ამის ნათელი დადასტურება იყო თვითნასწავლ მხატვართა და ხალხურ ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე დარბაზში მოეწყო.

საექსპოზიციოდ წარმოდგენილი იყო 12 თვითნასწავლი მხატვრისა და ხალხური ოსტატის 100-ზე მეტი სხვადასხვა ჟანრის ნამუშევარი.

ერთი თვის მანძილზე გამოფენა 2000-ზე მეტმა მშრომელმა დაათვალიერა. მნახველთა ყურადღება მიიქცია მ. იაძის ფერწერულმა ტილოებმა „პირველი ჯილდოზე", „ქუჩის ტაძარი", „რუსთაველი ვარძიის მონასტერში", „ლაშიხევის წისქვილი", „ახალციხის განთავისუფლება", „გუთნის დედა", რომლებიც მნახველს ხიბლავს უშუალობით, ხასიათების წვდომით და ქართული კოლორიტით.

დამთვალიერებელთა მოწონება დაიმსახურა ახალგაზრდა გ. მეტრეველის პეიზაჟებმა, პორტრეტებმა და ჰეფრომა კომპოზიციამ, პენსიონერ ს. ბერიძის გრაფიკულმა პორტრეტებმა, ახალგაზრდა დიასახლისების ლ. გურგენიძის, თ. ფეიქრიშვილის, ქ. ამბარცუმიანის ფერწერულმა პორტრეტებმა, კომპოზიციებმა, ნატურმორტებმა.

აღნიშვნის ღირსია ახალგაზრდა მეზღაპრის ე. ჯოხაძის ხისა და ძვლის მხატვრული დამუშავების ხელოვნება. ორიგინალური ხის ფესვებისგან გამოთლილი მაგიდა სკამებით, რომელთა საზურგეებსაც ადამიანებისა და ცხოველების რელიეფური გამოსახულებები ამშვენებს.

სახვითი და დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებიდან საინტერესო იყო სოფელ ღრელის მკვიდრის რ. ალაიძის მიერ კაკლის ხისაგან შესრულებული ჩუქურთმიანი ლარნაკი, ჯამი, კოვზები, მუსხელი და წყრომელი დიასახლისების შ. მელიქიძის, ო. სუდაძის, მ. ჟღენტის (?) ნაქსოვი მესხური ხალიჩები, ფარდაგები, ხურჯინები და სხვა.

თვითნასწავლ მხატვართა და ხალხურ ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მოაწყო საქართველოს პროფკავშირთა თვითმოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა და სახალხო დეპუტატთა რაიონის აღმასკომის კულტურის განყოფილებამ, სასიხარულო მოვლენა იყო ახალციხელი მშრომელებისათვის. იგი კიდევ უფრო მეტ სტიმულს მისცემს ხალხური შემოქმედების შემდგომ აღმავლობას. აქვე გამოითქვა აზრი, რომ კარგი იქნება, თუ ახალციხეში შეიქმნება ხალხურ შემოქმედთა კლუბი, სადაც სისტემატურად მოეწყობა თვითნასწავლ მხატვართა და ხალხურ ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა-განხილვა.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

წიგნის თარო
სულ ერთი წამით

ამირან აბობაძის ლექსების კრებულში — „სულ ერთი წამით" (გამომცემლობა „მერანი") შესულია უკანასკნელ წლებში დაწერილი პოეტური სტრიქონები, რომლებშიც ძალუმად იგრძნობა ჩვენი დღეების რიტმი, თანამედროვე ადამიანის ცხოვრება.

წიგნის რედაქტორია მ. ჯაფარიძე, მხატვარი — ც. გაჩეჩილაძე.

იზარდეთ, „ნერგებო"!

ამ სიტყვებით მთავრდება წერილი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ამიერკავკასიის რკინიგზის პიონერთა სახლთან არსებულ ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტულ-ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ნერგებს" მიუძღვნა გაზეთმა „ვეჩერნაია ოდესამ". ანსამბლ „ნერგებს" (სამხატვრო ხელმძღვანელი, საკავშირო ფესტივალის ლაურეატი ნ. მდინარაძე, ქორეოგრაფი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. ბახტაძე, ცეკვების დამდგმელი — გ. ჟუმსიაშვილი) არაერთხელ უსახელებია თავი ჩვენი ქვეყნის ქალაქებში და საზღვარგარეთაც. იგი რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალების ლაურეატია.

— ანსამბლის დაარსების დღიდან სამი ჯგუფი მუავდა, — გვეუბნება [illegible] ამჟამად კი ორი ჯგუფი [illegible] წელს „სორრქ" [illegible] ერთად ვიყავით საგასტროლოდ ჯერ ხაბაროვსკში, ზამთრის არდადეგები კი ოდესაში გავატარეთ. გავმართეთ კონცერტები ფილარმონიაში და მოსწავლეთა სასახლეში ინსტრუმენტულ ანსამბლ „ზორნეკასთან" ერთად. გვქონდა გადაცემები რადიოთი, ხოლო ტელევიზიამ მთლიანად ჩაიწერა ჩვენი პროგრამა.

...მხიარულნი, კმაყოფილნი და ენერგიით აღსავსენი დაუბრუნდნენ ნორჩები თავიანთ სკოლებს. მარტის არდადეგებზე კი ისინი ლენინგრადში არიან მიწვეული.

ი. როდანაია.

სურათზე: ანსამბლი „ნერგები" მორიგ კონცერტზე.

ყ ა ბ ა ხ ი
კიდევ ერთი მედალი

ზაპოროჟიეში რომ საქართველოს მოჭიდავეებმა თ. ყაზარაშვილმა (48 კგ) და მ. სალაძემ (100 კგ) საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, ხოლო თ. აფხაზავამ (82 კგ) მესამე ადგილი მოიპოვეს, ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან. და კიდევ ერთი ცნობა: 100 კილოგრამს ზევით წონითს კატეგორიაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა თბილისელი მაისურაძე. ამრიგად, ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეების ნადავლია ორი ოქროს და ორიც ბრინჯაოს მედალი.

სატურნირო ორბიტა

თავისუფალი ჭიდაობა. მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდების შეხვედრა. ეს რიგით მესამე მატჩიც საბჭოთა ათლეტებმა მოიგეს, ამჯერად ანგარიშით 6:3.

ფიგურული ციგურაობა. ლიონში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი, სადაც გათამაშდა მედლების ბოლო ორი კომპლექტი. სპორტსმენებმა საპრიზო ადგილები ასე გაინაწილეს: სპორტული ცეკვა. 1. დ. ტორვილი და კ. დინი (ინგლისი), 2. ნ. ბესტემიანოვა და ა. ბუკინი (სსრ კავშირი), 3. ი. მოისეევა და ა. მინენკოვი (სსრ კავშირი); ქალები. 1. კ. კრისტოფიჩ-ბინდერი (ავსტრია), 2. ქ. ვიტი (გდრ), 3. ე. ვოდორეზოვა (სსრ კავშირი).

ჩოგბურთი. სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შორის სამეფო თასის გათამაშების პროგრამით (ევროპის ზამთრის გუნდური ჩემპიონატი) გათვალისწინებული ნახევარფინალური მატჩი დორტმუნდში გაიმართა. გაიმარჯვეს გერმანელმა სპორტსმენებმა 3:0.

ციგურაობა. ჰოლანდიის ქალაქ ალკმარში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი სპრინტერულ მრავალჭიდში. ქალთა შორის უძლიერესი იყო მოსკოველი ოლიმპიური ჩემპიონი ნატალია პეტრუსიოვა, ხოლო ვაჟებში ყველას აჯობა მოსკოველმა სერგი ხლებნიკოვმა.

სამთო-სათხილამურო სპორტი. შლადმინგში (ავსტრია) მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიპოვა მასპინძელმა ხარტი ვაირატერმა. იგი უძლიერესი იყო სწრაფდაშვებაში. კემეროვოელი ვლადიმერ მაკეევი მეექვსე ადგილზე გამოვიდა. სპეციალურ სლალომში ყველას აჯობა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ინგემარ სტენმარკმა (შვეცია).

ჭადრაკი. რუმინეთის ქალაქ ბეილე-ერკულანში დამთავრებულ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის ზონალურ ტურნირში წარმატებით იასპარეზეს ახალგაზრდა უნგრელმა დიდოსტატებმა ზ. რიბლიმ და დ. საქსმა, აგრეთვე რუმინელმა მ. შუბემ. მათ საზონათშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. კიდევ ოთხნი, რომლებმაც ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს (12-12) და მეოთხე-მეშვიდე ადგილები გაინაწილეს, გაითამაშებენ საზონათშორისო შეჯიბრების ორ საგზურს. ესენი არიან ფ. გეორგიუ (რუმინეთი), ა. შნაპიკი (პოლონეთი), ა. ლუკაჩი და ი. პინტერი (ორივე — უნგრეთი), მათ შორის დამატებითი შეჯიბრება გაიმართება.

ფეხბურთის ამბები

სულ ცოტა ხნის წინათ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი, ინგლისის „ლივერპული" ეროვნულ ჩემპიონატში ცხრილის მეორე ნახევარში იყო და ლიდერს — „იფსვიჩ თაუნს" 13 ქულით ჩამორჩებოდა. მაგრამ ბოლო დროს ლივერპულელები ისე თამაშობენ, რომ არა მარტო ინგლისური, არამედ მთელი ევროპული პრესა ალაპარაკეს. ბრწყინვალედ ითამაშეს მათ მორიგ ტურში, როცა ბირმინგემში დაამარცხეს ქვეყნის ჩემპიონი, ადგილობრივი „ასტონ ვილა" — 3:0. გოლები გაიტანეს იენ რაშმა, კენი დალგლიშმა და ტერი მაკდერმოტმა, ახლა „ლივერპულს" 21 მატჩიდან 36 ქულა აქვს და მეხუთე ადგილზეა. ხოლო ლიდერობს (პირველად კლუბის 97-წლიან ისტორიაში) ხელთ იგდო კიგანის გუნდმა „საუთჰემპტონმა" (22 თამაშიდან 40 ქულა). ბომბარდირთა სიაში ახალგაზრდა ლივერპულელ რაშს 17 გოლით მესამე ადგილი უკავია. მას უსწრებენ კიგანი (19 გოლი) და რეჯისი („ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" .18).

შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვეტილება მიიღო სასტიკად ებრძოლოს უხეშობას. პირველი ფეხბურთელი, რომელიც „ცხელ გულზე" დაისაჯა, „სენ-ჯონსტონის" მოთამაშე პელოში გახლავთ. „დამფერლაინის" მცველის დაშავებისათვის მას 6 თვით დისკვალიფიკაცია მიეცა.

თავისი იაპონური ტურნეს ბოლო მატჩში ბუენოს-აირესის (არგენტინა) „ბოკა ხუნიორსმა" დაამარცხა იაპონიის ნაკრები — 1:0. ეს ერთადერთი გოლი დიეგო მარადონამ გაიტანა. ამრიგად, ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან გამართული სამი შეხვედრიდან „ბოკა ხუნიორსმა" ორი მოიგო და ერთი ფრედ დაამთავრა.

მოსკოვის კრემლის კომენდატურის ცნობა

დაგეგმილ სამუშაოთა გამო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი დახურული იქნება 1982 წლის 15 თებერვლიდან 15 აპრილამდე.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა მოვახსენოთ ყველა დაწესებულებას, ორგანიზაციასა და პირთ, რომლებმაც გაიზიარეს მწუხარება ჩვენი ოჯახის დიდი მწუხარება: საქართველოს სახალხო არტისტის ეროსი აკაკის ძე მანჯგალაძის გარდაცვალების გამო.

ე. ა. მანჯგალაძის ოჯახი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

ესტრადაზეა „ცისფერი ტრიო"
ათი წლის ნამღერი...

სურათზე: „ცისფერი ტრიო" — თამაზ სეფერთელაძე, მალხაზ თავართქილაძე, დავით აბესაძე (სურათი ამოღებულია შვედური ჟურნალიდან); ფირფიტა „გიგანტის" ყდა (ქვემოთ).

შეიძლება ბევრი და დიდხანს ვილაპარაკოთ საესტრადო ხელოვნების ბოლო პერიოდზე, მის ავკარგიანობაზე, მაგრამ ამჯერად ჩვენი მიზანია შევახსენოთ ხანა, რომელსაც მხოლოდ ორი სიტყვა „ცისფერი ტრიო" განსაზღვრავს — ამჯერად საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ვოკალური ჯგუფი.

შთაგონებულმა ჭაბუკებმა, რომელთა კეთილშობილურ სახ.. ეშიც ჰარმონიულად შეერთდა მოქალაქის, მომღერლისა და მუსიკოსის საუკეთესო თვისებანი, დიდი პოპულარობა მოიპოვეს ჩვენში თუ საზღვარგარეთ.

სიმღერის სიყვარულმა გააერთიანა ამ ათი წლის წინათ არქიტექტორები მალხაზ თავართქილაძე, დავით აბესაძე, მშენებელი ინჟინერი თამაზ სეფერთელაძე. მათი დებიუტი გაიმართა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კედლებში [illegible] იმ კაპელასთან ერთად, რომელსაც ლოტბარი იუზა კუბლაშვილი ხელმძღვანელობს. ცოტა ხნის შემდეგ თამაზ სეფერთელაძის თაოსნობით ვაჟთა ტრიო დამოუკიდებლად განაგრძობს მუსიკალურ ცხოვრებას.

1973 წელს უკვე ტელეეკრანზე პირველად მათ შესრულებს ეთერ ჭელიძის სიმღერა „ლურჯი აპრილი", ნუნუ დუღაშვილის „იმერეთის ნიავი". იმავე წელს ტრიოს მიერ შესრულებული „იმერეთის ნიავი" წლის საუკეთესო სიმღერად გამოცხადდა.

ორი დიდი საქმე ავსებს მათ ცხოვრებას — მუსიკა და არქიტექტურა. მალხაზ თავართქილაძე და დავით აბესაძე „საქქალაქმშენსახპროექტში" მუშაობენ. მალხაზი ქ. მახარაძის ადმინისტრაციული საყოფაცხოვრებო კომბინატის პროექტის ავტორია, მასვე ეკუთვნის 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი დაბა მესტიაში. დაპროექტების სტადიაშია ბავშვთა 300-ადგილიანი სანატორიუმის კომპლექსი ქ. ლესელიძეში. დავითის პროექტით აშენებულია 75 ადგილიანი სასტუმრო ცაგერში, შენდება სასტუმრო მცხეთაში, თამაზი კი ცეკავშირის ერთ-ერთ წარმოებას ხელმძღვანელობს.

საინტერესოა, რომ შარშანდელი თბილისობის წინ მათ მოიძიეს, შეაგროვეს და განაახლეს ძველი თბილისის ორმოცამდე საამქრო დროშა, რომელთა ემბლემებიც თანამედროვეობას შეესაბამეს და დედაქალაქის ზეიმზე გამოამზეურეს. ასე რომ, სიმღერასთან ერთად მათი ხელით განახლებული დროშებიც ამშვენებდა ძველებურ თბილისს.

ის გულითადი სიყვარული, რომელიც სამეულმა დაიმსახურა, არა მარტო ლამაზი ტემბრის ხმებში უნდა ვეძიოთ, არამედ კარგად შერჩეულ ხალხურ ეროვნულ რეპერტუარში. თანდათან გაიზარდა ტრიოს ასპარეზიც; მსმენელთა საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ანსამბლმა.

1976 წელს პორტუგალიაში ტრიო ანსამბლ „გორდასთან" ერთად იმყოფებოდა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის მიწვევით. ხანგრძლივი ფაშისტური რეჟიმის შემდეგ ეს იყო პირველი ჯგუფი, რომელმაც საბჭოთა ხელოვნება გააცნო პორტუგალიელებს. შარშან კი ტრიო ხელახლა მიიწვიეს პორტუგალიაში სსრ კავშირ-პორტუგალიის მეგობრობის დღეებთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს ბაზაზე ჩატარდა.

1978 წელს „ცისფერი ტრიო" ქ. ვენის საგაზაფხულო ფესტივალისა და საფრანგეთის ქალაქ კონფოლანის სიმღერის ფესტივალის ლაურეატი ხდება. 1980 წელს მომღერლები მონაწილეობენ ლუბლიანაში გამართულ თბილისის დღეებში. ქართული სიმღერები გააცნეს დასავლეთ ბერლინის, საფრანგეთის, ინგლისის, შვეციის, ნორვეგიის, იაპონიის, დანიის, ალჟირის, კვიპროსის, ჰოლანდიის მცხოვრებლებს.

„ცისფერი ტრიოს" გამოსვლებს ამ ათი წლის მანძილზე ფართოდ გამოეხმაურა საბჭოთა თუ უცხოური პრესა. აი, რას წერს შვედური გაზეთი „ფოკბლატედი": „სამმა ქართველმა თამაზ სეფერთელაძემ, მალხაზ თავართქილაძემ და დავით აბესაძემ შეძლეს თითოეული მსმენელი მოეხიბლათ ტკბილხმოვანი, ნატიფი ქართული სიმღერით. ყოველივე ეს მაღალპროფესიულ დონეზე ხდება... როცა დარბაზში ჟღერს „სულიკოს", „ცეცინათელას", „ლურჯი აპრილის" მელოდიები, ტაში არ ცხრება".

ტრიოს წევრებს საქართველოს დამსახურებული არტისტების წოდება მიენიჭათ. ახლახან კი მათი შემოქმედება შეჯამდა ფირფიტაზე „გიგანტი", რომელზეც 14 რჩეული სიმღერაა ჩაწერილი. საინტერესოა ისიც, რომ ფირფიტის ყდის გაფორმებამ (ავტორი — მალხაზ თავართქილაძე) „დიზაინის" კონკურსზე მოსკოვში მეორე პრემია დაიმსახურა.

ცხადია, ორმხრივი დატვირთვის გამო ანსამბლის მუშაობა რთულდება, ძნელდება რეპერტუარის განახლება. მათი სიტყვით, მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ სპეციალურად მათთვის თითქმის არაფერი იწერება, რის გამოც ნიადაგ უხდებათ ახალი სიმღერების ძებნა, ძველი ჩანაწერების შერჩევა, გადამუშავება, მათი ხელახალი ინტერპრეტაცია.

— ვცდილობთ დავძლიოთ ის ერთფეროვნება, რომელიც შეინიშნება ხოლმე ჩვენს რეპერტუარში. საამისოდ პირველი ნაბიჯებიც გადავდგით, ვეძებთ ახალ რიტმებსაც და ამავე დროს ვცდილობთ არ მოვწყდეთ ქართული სიმღერის ძირს. ვამდიდრებთ აკომპანემენტს — ამჯერად ჩვენი სიმღერები უკვე ორ, სამ გიტარაზე სრულდება. ვვარაუდობთ, რომ ამ მხრივ საინტერესო იქნება სიმღერების ციკლი გრ. აბაშიძის, დ. გვიშიანიძის, გ. ძნელაძის ლექსებზე, რომელთა მუსიკა დაწერა ო. რამიშვილმა. ტრიოს ახალ რეპერტუარს მალე საქართველოს ტელევიზიის საშუალებით გავეცნობით.

მალე ანსამბლი საგასტროლოდ მიემგზავრება შვეციაში, სადაც მეორედ გაიმართება მათი სოლო-კონცერტები. იქ „ცისფერი ტრიო" არა მარტო საყოველთაოდ ცნობილი რეპერტუარით გამოვა, არამედ ქართულ ხალხურ სიმღერებს და ჩაკრავებსაც (ჩონგურს, ფანდურს, სალამურს) გააცნობს უცხოელ მსმენელს.

ნატო მამისაშვილი.
მუსიკისმცოდნე.

ტელევიზია
9 თებერვალი

პირველი პროგრამით: 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სალაგათო — ახალგაზრდობის ქალაქი", 10.00 — „მოამბე", 10.30 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვაისინ ჟულივეი", 11.00 — „საესტრადო პანორამა", 11.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვიტალი ბიანკი", 13.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა, 13.30 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „რევოლუციით შობილი". მე-7 სერია, 17.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 17.30 — განცხადებები, 17.35 — „თქვენთვის, პატარებო!". მულტიპლიკაციური ფილმები, 18.10 — მოსწავლეთათვის — „მოთხრობები ხუთწლედზე", 18.50 — „ხალხური შემოქმედება" — რაჭული სიმღერები, 19.15 — „პოეზია". დილარ ივარდავა, 19.45 — მუსიკალური მეჯლისი, 19.50 — „მოამბე", 20.20 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლის თავისათვის" — ტელევიზიის მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „რევოლუციით შობილი", მე-8 სერია, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „ქართული ფილმი — 60". გადაცემა „[illegible] ლიძე — ფილმები და წლები", 23.35 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 16.15 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა, 17.00 — დოკუმენტური ფილმი „ოქტომბრის კურსით", 17.15 — მშვიდობის კურსით", 17.15 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა, 18.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გოგრა".

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

ლენინის ქ. 14.
380096, თბილისი-96.

რ ე დ ა ქ ც ი ა:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის—93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-48-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 98-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.



КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 09065 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20